

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნათელა ბასილია, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

დავით ჩხაიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ნანა გიორგობიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ნანა კასრაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

სოფიო მგალობლიშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ნინო ბერიშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

მაკა აფრიამაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

თამარე მახარაძე ხოხიაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ირმა შველიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ალექსანდრე ლაცაბიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

სოფიო თავაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	245428951

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხელვაჩაური, სოფელი სალიბაური
იურიდიული მისამართი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სალიბაური
ფაქტობრივი მისამართი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სალიბაური
საფოსტო ინდექსი	6040
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://bit.ly/3QRstZI
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	khesalibauri2@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	253400; 253401

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 7 23 0001032209 24/08/2023წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	09, 10 ოქტომბერი, 2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სალიბაური
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სალიბაური
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სალიბაური

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლაში 2023 წლის 09 და 10 ოქტომბერს, განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, შეთანხმდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი.

საგნობრივ ექსპერტები გაესაუბრნენ პედაგოგებს და მოიპოვეს საჭირო ინფორმაცია საგნობრივ პროგრამებთან დაკავშირებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა დაათვალიერა სასწავლო გარემო.

ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა, სკოლის წარმომადგენლებს მიაწოდეს ინფორმაცია იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის პერიოდში გამოიკვეთა.

ვინაიდან, სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია 10 ცალკე მდგომი შენობა, რომელთაგან მხოლოდ 3 (შენობა #01;02;06) გამოიყენება სასწავლო მიზნებისთვის, წინამდებარე დასკვნაში ინფრასტრუქტურული აღწერილობა წარმოდგენილია სასწავლო კორპუსებისთვის.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლის საუკეთესო გამოცდილებად შეიძლება ჩაითვალოს სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. სკოლაში მოქმედებს ხარისხის მართვის ჯგუფი, „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“. მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აძლევენ უკუკავშირს. უკუკავშირი აგებულია მხარდაჭერაზე, შესრულებული სამუშაოს გაზიარებასა და გაუმჯობესებაზე. ყველა მასწავლებელი, რომელიც გაივლის გარედან შემოთავაზებულ ტრენინგს, ნიშნავს სამუშაო შეხვედრას და გამოცდილებას უზიარებს კოლეგებს. შედეგად, ამ ეტაპზე სკოლის 22 მასწავლებლიდან 2 მენტორია, 12 წამყვანი, 8 უფროსი.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ლონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
--	--

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 350	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

1. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა--მეტწილ შესაბამისობაშია
2. ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა--მეტწილ შესაბამისობაშია
3. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა--მეტწილ შესაბამისობაშია

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N.3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სკოლის სამივე სასწავლო შენობისთვის, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას შეთანხმება შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან.
ინდიკატორი N.3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში, ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით, უზრუნველყოს მოძრავი პანდუსის მოწყობა სკოლის სამივე სასწავლო შენობისთვის და ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა სკოლის ორ (#01,06) სასწავლო კორპუსში.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
---------------------	---	---

კომპონენტი 2.2.	კურიკულუმის განხორციელება	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში, უზრუნველყოს კომპიუტერული ლაბორატორიის აღჭურვა შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერებით.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
კომპონენტი 2.2.	კურიკულუმის განხორციელება	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს, სკოლაში სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
კომპონენტი 2.2.	კურიკულუმის განხორციელება	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს, სკოლაში სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N.1.1.1.6	სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსს ალმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.	სკოლას მიეცა რჩევა, განაახლოს საჯარო რეესტრის ამონაწერი სკოლის ამჟამინდელი სახელწოდების შესაბამისად.

ინდიკატორი N.1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სასურველია სკოლამ ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში დააკონკრეტოს განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N.3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რჩევა, ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.
ინდიკატორი N.3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;	სკოლას მიეცა რჩევა, შექმნას ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის ერთიანი მექანიზმი, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებასთან.
ინდიკატორი N.3.5.1.5	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები	სასურველია სკოლის ბიბლიოთეკისთვის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	რჩევა
---------------------	---	--------------

ინდიკატორი N.2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეების ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია კურიკულუმის ჩარჩოში მათემატიკის და სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფისთვის ცალკეული თემის შესაბამისად უფრო მრავალფეროვანი, კონკრეტულ თემაზე მორგებული სასწავლო რესურსების გაწერა, როგორიცაა დამხმარე სახელმძღვანელო, ელ რესურსები და სხვა. ეს საშუალებას მისცემს მასწავლებლებს სასწავლო პროცესი მეტად ორიენტირებული გახადონ თითოეულ მოსწავლეზე. სკოლას მიეცა რჩევა, მე-4 კლასის სახელმწიფო ენის კურიკულუმის ჩარჩოში სრულად გაიწეროს ყველა სავალდებულო თემა.
ინდიკატორი N.2.3.1.3	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.	სასურველია, კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, რა ინსტრუმენტებს გამოიყენებენ? ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს/შეფასებას? კრიტერიუმები/ ინდიკატორები, რომლითაც მოხდება შეფასება და გაეცემა პასუხი კითხვას-რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს?
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	რჩევა
ინდიკატორი N.2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეების ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია კურიკულუმის ჩარჩოში მათემატიკის საგნობრივი ჯგუფისთვის ცალკეული თემის შესაბამისად უფრო მრავალფეროვანი, კონკრეტულ თემაზე მორგებული სასწავლო რესურსების გაწერა, როგორიცაა დამხმარე სახელმძღვანელო, ელ რესურსები და სხვა. ეს საშუალებას მისცემს

		მასწავლებლებს სასწავლო პროცესი მეტად ორიენტირებული გახადოთ თითოეულ მოსწავლეზე. სახელმწიფო ენის რამოდენიმე კურიკულუმებში გამორჩენილია კომპლექსური დავალების პირობა. სასურველია საგნობრივი კურიკულუმის გადახედვა და პირობის გაწერა ყველა კომპლექსური დავალებისთვის.
ინდიკატორი N.2.3.1.3	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.	სასურველია, კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, რა ინსტრუმენტებს გამოიყენებენ? ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს/შეფასებას? კრიტერიუმები/ინდიკატორები, რომლითაც მოხდება შეფასება და გაეცემა პასუხი კითხვას-რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს?
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	რჩევა
ინდიკატორი N.2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეებს ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია კურიკულუმის ჩარჩოში მათემატიკის საგნობრივი ჯგუფისთვის ცალკეული თემის შესაბამისად უფრო მრავალფეროვანი, კონკრეტულ თემაზე მორგებული სასწავლო რესურსების გაწერა, როგორცაა დამხმარე სახელმძღვანელო, ელ რესურსები და სხვა. ეს საშუალებას მისცემს მასწავლებლებს სასწავლო პროცესი მეტად ორიენტირებული გახადოთ თითოეულ მოსწავლეზე. სასურველია, სახელმწიფო ენის მეთორმეტე კლასის კურიკულუმში მიეთითოს , რომელი კ/დ-ს განხორციელებას გეგმავს მასწავლებელი.

ინდიკატორი N.2.3.1.3	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.	სასურველია, კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, რა ინსტრუმენტებს გამოიყენებენ? ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს/შეფასებას? კრიტერიუმები/ინდიკატორები, რომლითაც მოხდება შეფასება და გაეცემა პასუხი კითხვას-რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს?
----------------------	--	---

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას გამოაგზავნა რიგ ინდიკატორებთან მიმართებით მტკიცებულებები და ასევე, შესაბამისობის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შესაბამისად შეიცვალა შეფასებებიც. რიგი ინდიკატორები წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

შესაბამისობის გეგმაში გაწერილია განხორციელების ვადები, რისკები, რესურსები და ჩართული მხარეები. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად, გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ცვლილებები ასახა დასკვნაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა თავისი მისიითა და ხედვით მიზნად ისახავს უსაფრთხო, პოზიტიური, სწავლის მასტიმულირებელი გარემოს შექმნას, სადაც ყველა ბავშვი ლაღი, მოაზროვნე, მამიებელი, თავდაჯერებული, მიღებული და დაფასებულია. ინტელექტუალური თუ მატერიალური ღირებულებების შესაქმნელად სკოლა შეეცდება მოზარდებს ჩამოუყალიბდეთ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, გააცნობიერონ ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობა და უფლება-მოვალეობები. ამ ყოველივეს მიღწევას კი არაფორმალურ განათლების, პროექტული სწავლების და სასკოლო საზოგადოების კონსტრუქციული თანამშრომლობითა და პასუხისმგებლობის განაწილების გზით გეგმავს. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლა წარმოდგენილი მისიითა და ხედვით განსაზღვრავს სკოლის დანიშნულებას, როგორც მოსწავლის განვითარებისთვის უსაფრთხო და პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნას. იგი პრიორიტეტად სახავს მოსწავლისთვის დემოკრატიული ღირებულებების ამაღლებას, მის დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებითა და სოციალურად სწორი ორიენტაციით აღჭურვას არაფორმალური განათლების გაძლიერებისა და სასკოლო საზოგადოების კონსტრუქციული თანამშრომლობის გზით, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის შექმნას.

ინდიკატორი 1.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3.სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023 წლის 1 სექტემბრის სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმის №1 - დან დგინდება, რომ სკოლის მისიისა და ხედვისა და ღირებულებების პირველადი ვერსიის შემუშავება მოხდა სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ სკოლის დირექციის წარმომადგენლები, პედაგოგები, მოსწავლე და მშობელი.

ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი მოიცავს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების ეტაპს, მასზე ასევე, საუბარია სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმში. აღნიშნული სხდომის შემდეგ სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი აიტვირთა სკოლის ვებგვერდზე <https://salibauri2.edu.ge/>, შესაბამისად, სასკოლო საზოგადოებას ჰქონდა მისი გაცნობის, მოსაზრებების გამოთქმისა და უკუკავშირის მიცემის საშუალება. სკოლას უკუკავშირი არ მიუღია, ამიტომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები უცვლელი სახით არის წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული და მიღებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 1.1.1.4. დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, განთავსებულია ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ორივე ოფიციალურ ვებგვერდზე.

ინდიკატორი 1.1.1.5. დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს და განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული შესაბამისი ბრძანებით - „სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლა“. თუმცა, ამონაწერით საჯარო რეესტრიდან არ ფიქსირდება მუნიციპალიტეტი, აღნიშნული ფართის მოსარგებლედ ფიქსირდება „სსიპ სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლა“.

სასურველია, სკოლამ განაახლოს საჯარო რეესტრის ამონაწერი სკოლის ამჟამინდელი სახელწოდების შესაბამისად.

ინდიკატორი 1.1.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმის №1 01/09/2023წ.
- <https://salibauri2.edu.ge/>
- <https://bit.ly/3QRstZI>
- სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი, რომელიც მოიცავს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიას და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებსა და ინტერესებს დაგეგმვის, გაზიარების, უკუკავშირის მიღებისა და ანგარიშების ეტაპებზე.

ინდიკატორი 1.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 8 სექტემბერს სკოლის დირექტორის №01-02/76 ბრძანებით დამტკიცებული, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული შვიდწლიანი (2023-2030) სტრატეგიული გეგმა. სკოლის სტრატეგიული გეგმა მოიცავს ცხრა სტრატეგიულ მიზანს და კორელაციაშია სკოლის მისია, ხედვასა და ღირებულებებთან. ვინაიდან, სკოლის სტრატეგიულ გეგმაში ხშირ შემთხვევაში, მიზნების შესაბამისი ამოცანების ნაცვლად ისევ მიზნებია მითითებული, სკოლას მიეცა რჩევა აღნიშნულ დოკუმენტში მოახდინოს ტერმინოლოგიური შესაბამისობა. *სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სკოლის სტრატეგიული გეგმა (2023-2030 წწ) სადაც გათვალისწინებულია აღნიშნული რჩევა.*

ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3.სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 8 სექტემბერს სკოლის დირექტორის №01-02/77 ბრძანებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმა 2023-2024 სასწავლო წლის სექტემბერ-ივნისის თვეებზე (10 თვე), რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის 6.13 პუნქტის თანახმად, სამოქმედო გეგმა იქმნება სტრატეგიული გეგმიდან და სკოლის ყოველწლიური თვითშეფასებიდან გამომდინარე. **სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გაწერილია 10 თვეზე (ნაცვლად 12 თვისა), რამაც შესაძლოა შეაფერხოს სტრატეგიულ გეგმაში დეკლარირებული მიზნების განხორციელება.**

სკოლამ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გაწერა 10-ის ნაცვლად 12 თვეზე და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმასთან ერთად. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის ინიცირება განხორციელდა სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის მიერ (ოქმი #2 13.11.2023წ.) და დამტკიცდა სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმასთან ერთად სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ (ოქმი #12. 16.11.2023წ.).

ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო წარმოდგენილი დოკუმენტი და აღნიშნული ინდიკატორი შეაფასა, როგორც შესაბამისი.

4. სკოლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. არ არის გათვალისწინებული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და აქტივობების განხორციელების შესაბამისი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები. სასურველია, სკოლამ აღნიშნული გაითვალისწინოს სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის 6.14 პუნქტში.

სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. სასურველია სკოლამ ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში დააკონკრეტოს განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები. სკოლამ ასევე წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანება #01-02/124 (15.11.2023წ.), რომლითაც დასტურდება რომ სკოლამ გაითვალისწინა რჩევა და ცვლილება განხორციელა „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ 6.14 პუნქტში.

ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო წარმოდგენილი დოკუმენტი, აღნიშნული ინდიკატორი შეაფასა, როგორც შესაბამისი, რამაც, თავის მხრივ გამოიწვია კომპონენტის სრულ შესაბამისობაში გადაყვანა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი;
- სტრატეგიული გეგმა 2023-2030 ბრძანება №01-02/76. 08.09.2023წ.

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024 ბრძანება №01-02/77. 08.09.2023წ.
- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი #2 13.11.2023წ.
- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი #12. 16.11.2023წ.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მე-10 მუხლი მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. იანვრისა და ივნისის ბოლო კვირაში სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. პროცესს მონიტორინგს უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება ორ წელიწადში ერთხელ. შეფასების პროცესის შედეგად გამოკვეთილი საკითხები შეიძლება გახდეს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის საფუძველი.

ინდიკატორი 1.2.2.1. დავმაყოფილებულია

2.სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ვერ განხორციელდებოდა. შესაბამისად, ინდიკატორი ვერ ფასდება.

3.როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები ვერ ექნებათ გასაჯაროებული. შესაბამისად, ინდიკატორი ვერ ფასდება.

4.სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასება ჯერ ვერ მოხდებოდა. ამდენად, ინდიკატორი ვერ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ ვიზიტის შემდგომ დამატებით მტკიცებულებად წარმოდგენილი ორგანიზაციის სტრუქტურის ამსახველი დიაგრამა და სკოლის ვებგვერდზე ატვირთული დიაგრამა იდენტურია და შესაბამისობაშია საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურასთან. სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის დირექტორის 2023 წლის 8 სექტემბერს №01-02/81 ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულები, დამხმარე სტრუქტურული ერთეულები, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისა და შტატგარეშე თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები“ რომელშიც გაწერილია სკოლის ორგანიზაციის სტრუქტურით გათვალისწინებული ყველა დასაქმებულის თუ სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები.

აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი დოკუმენტებით სკოლის სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები განსაზღვრულია.

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სადაც ნათლად ჩანს, რომ კონკრეტული აქტივობების შესრულებისათვის განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების გადანაწილება რელევანტურია მათთვის დაკისრებული ფუნქციების. ადგილზე გასაუბრების შედეგად ასევე დადგინდა, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლის სკოლის საშტატო განრიგით, სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული პერსონალისა და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შეჯერებით დგინდება, რომ სკოლის სტრუქტურული ერთეულების/ პირებს შორის ფუნქციები და ვალდებულებების განაწილება უკავშირდება სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებას და ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა-სქემა;
- „სკოლის სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულები, დამხმარე სტრუქტურული ერთეულები, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისა და შტატგარეშე თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები“ ბრძ. №01-02/81. 08/09/2023წ;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- შრომითი ხელშეკრულებები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შინაგანაწესით სკოლას დადგენილი აქვს პერსონალის შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, დასაქმებულის დანიშვნის, სამუშაო დროის აღრიცხვის, სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება და გამოუცხადებლობის შეტყობინების, ანაზღაურებისა და შვებულების გაცემის, შრომის პირობების დაცვის წესები, წახალისებისა და პასუხისმგებლობების სახეები და სხვა. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით რეგულირდება მასწავლებლის შერჩევის, მისი სოციალიზაციის, პროფესიული განვითარების, მოტივაციის ამაღლებისა და თანამშრომლობის შეწყვეტის პირობები. ვიზიტის პერიოდში გადამოწმებული დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ პერსონალის მართვას სკოლა ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების N174/ნ (2019 წლის, 20 აგვისტო). მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისია სკოლის შიდა ნორმატიული აქტები: სკოლის შინაგანაწესის და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის საკადრო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია დასაქმებული პირების საქმიანობის შეფასება, რაც ითვალისწინებს პერსონალის საჭიროების და შესაძლებლობების გამოვლენას, სირთულეების დროულ იდენტიფიცირებას და მოგვარების პრევენციული გზების დასახვას. სკოლა პერსონალს სკოლის ბაზაზე სთავაზობს განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგებს და სამუშაო შეხვედრებს. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დირექცია აანალიზებს მომავალი სასწავლო წლისთვის რა პოზიციაზე შეიძლება დასჭირდეს კადრების შერჩევა და წინასწარ აცხადებს კონკურსს. სკოლის შინაგანაწესის მე-5 მუხლით განსაზღვრულია, სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი, სადაც გაწერილია სამსახურში არ გამოცხადების შემთხვევაში შეტყობინების ვადები. ამ რეგულაციით სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებისთვის მცისიერი ზომების მიღებას, მასწავლებლის არ ყოფნის შემთხვევაში ჩაანაცვლოს შესაბამისი კათედრის მასწავლებლით, ხოლო სხვა დასაქმებულის შემთხვევაში მოახდინოს ფუნქციათა დელეგირება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელზე. მაგალითად, ვიზიტის პერიოდში სკოლას მეორედ ჰქონდა გამოცხადებული მუსიკის მასწავლებლის ვაკანსია (მასწავლებელმა სამსახური დატოვა სასწავლო წლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე), ამ პერიოდისთვის სკოლას შემუშავებული ჰქონდა მუდმივი (ახალი მასწავლებლის მიღებამდე) გრაფიკი, რომლის მიხედვითაც შეუფერხებლად მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით რეგულირდება მასწავლებლის შერჩევის წესი, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ დადგენილი წესით. განაცხადი ქვეყნდება საჯაროდ, მასწავლებლის ვაკანსიის ვებგვერდზე. ამავე ვებ. გვერდზე სკოლას სხვადასხვა დროს გამოცხადებული აქვს ექიმის, ბიბლიოთეკარის და საინფორმაციო მენეჯერის ვაკანსიები. დაცულია კონკურსის ეტაპები და განხორციელების პროცედურები და გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები. მასწავლებლებთან

გაფორმებულია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ (2019 წლის, 20 აგვისტო) ბრძანებით განსაზღვრული, სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები (უფროსი, წამყვანი, მენტორი). ყველა დასაქმებულისთვის წარმოდგენილია კანონმდებლობის შესაბამისი ცნობები: ნასამართლეობის, ნარკოლოგიური შემოწმების, „სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის N463 დადგენილი „უფლების ჩამორთმევის შესახებ“. წარმოდგენილი მასალების შესწავლით შეიძლება დავასკვნათ, რომ პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით.

ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში დასაქმებულია სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებული პირები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, 2 დარაჯი, და 2 დამლაგებელი და 22 მასწავლებელი, მათგან 2 მენტორი, 12 წამყვანი. სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ასევე სკოლის ექიმი, რომელიც ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს. ნაცვლად ექიმისა, სკოლას ემსახურება პანსიონის საშტატო განრიგით გათვალისწინებული 2 ექთანი. სკოლას არ აქვს გაწერილი სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ყველასთან გაფორმებულია ხელშეკრულება კანონმდებლობის დაცვით.

სკოლამ ცვლილებები შეიტანა ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში, გაწერა მასში სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმასთან ერთად. ცვლილებების შეტანა განხორციელდა სკოლის დირექტორის ინიცირებით და დამტკიცდა სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ (ოქმი #12. 16.11.2023წ.).

ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო წარმოდგენილი დოკუმენტი და აღნიშნული ინდიკატორი შეაფასა, როგორც შესაბამისი.

5. სკოლაში მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დასტურდება თანამშრომელთა მიღების პროცედურებით, კონკურსის პირობებიდან გამომდინარე საკონკურსო კომისიების მუშაობით, წარმომადგენლობითი პრინციპით შექმნილი სამუშაო ჯგუფებით, სკოლაში შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარებისა და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიებში აღწერილი თანამშრომლობითი პროცესებით. სკოლას სტრუქტურისა და პოზიციების შესაბამისად განაწილებული აქვს პერსონალის ანგარიშვალდებულების სისტემა. დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო/სამეურვეო საბჭო/მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის/დასაქმებულების წახალისების თხოვნით. გუნდურად მუშაობენ და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თანამშრომლობენ კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება. აღნიშნული დოკუმენტის 21-ე მუხლში „თანამშრომელთა მოტივაცია“ გაწერილია მასწავლებელთა წახალისების მატერიალური და არამატერიალური ფორმები, როგორცაა: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. სკოლის შინაგანაწესის მე-19 მუხლში მოცემულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი. სასკოლო სასწავლო გეგმით დგინდება, რომ კათედრის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაა. სკოლის საკადრო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია დასაქმებული პირების საქმიანობის შეფასება. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია სკოლის მიერ შემუშავებული მასწავლებლის მასტიმულირებელი საქმიანობის კრიტერიუმები და ინდიკატორები. აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენებით, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საშუალებით, მასწავლებელი ფასდება ქულებით. მაღალი შედეგების მქონე მასწავლებელი წახალისდება სკოლის დირექციის მიერ, შედეგები გაზიარდება სკოლის პედსაბჭოზე და შესაძლებლობის შემთხვევაში მისი წარდგინება მოხდება საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის დამსახურებული მასწავლებლის სტატუსის მინიჭების მიზნით. სკოლაში მოქმედებს „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“, უკუკავშირი აგებულია მხარდაჭერაზე, შესრულებული სამუშაოს გაზიარებასა და გაუმჯობესებაზე. ამ მიზნით სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის და უცხოური ენების კათედრებმა ჩაატარეს მეთოდური კვირეული, რომელიც მოიცავდა აქტივობებს- „ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენება სასწავლო პოცესში“, „დიფერენცირებული სწავლება და განმავითარებელი შეფასება“, „კლასგარეშე აქტივობების ფუნქცია და აუცილებლობა ინგლისური ენის სწავლებისას“. გამოცდილების გაზიარების მიზნით ქართული ენის კათედრამ შექმნა ბლოგი https://katedra22.blogspot.com/p/blog-page_84.html. სკოლის თანამშრომლები სხვადასხვა ტრენინგებზე მიღებულ გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს. მაგ: „უსაფრთხო სკოლა“ და სხვა.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი და წარმატებული პრაქტიკა.

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- Emis -ის ბაზა;
- სკოლის საშტატო განრიგი;
- ვაკანსიის კომისიის დოკუმენტი;
- საქალაქო „კონკურსის ჩატარების მასალა“;

- წერილი რესურსცენტრს- დამსახურებული პედაგოგის წარდგენაზე;
- ბლოგი https://katedra22.blogspot.com/p/blog-page_84.html
- დოკუმენტები: გამოცდილების გაზიარება;
- ურთიერთდასწრება (გაკვეთილის გეგმა, რეფლექსია, უკუკავშირი);
- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი #12. 16.11.2023წ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2020 წლის 26 ნოემბრის №01-02/98 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომელიც ვიზიტის პერიოდისთვისაც მოქმედი იყო. აღნიშნული დებულების მიზანია მასწავლებელთა შიდა შეფასება, მათი პროფესიული საჭიროების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად ხორციელდება ხარისხის ჯგუფის მიერ მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვება და შეფასება, რის საფუძველზეც, მასწავლებელთა საჭიროებების და განსახორციელებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, განისაზღვრება პერსონალის განვითარების მეთოდების/აქტივობების ფორმა (ტრენინგები, სემინარები, კონფერენციები და ა.შ.) და თემატიკა, საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას უზრუნველყოფს დირექტორის მოადგილე და ათანხმებს დირექტორთან. ამრიგად, სკოლას განსაზღვრული აქვს მასწავლებელთა შეფასებისა

და პროფესიული საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. რაც შეეხება სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შეფასებასა და პროფესიულ განვითარებას, ამ მიმართულებით შესაბამისი პირები: დირექტორი და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი აფასებენ მათ დაქვემდებარებაში არსებულ პირებს მათი სამუშაო აღწერილობის შესაბამისად და წახალისებისა თუ დისციპლინური დევნის შემთხვევაში მოქმედებენ სკოლის შინაგანაწესის მე-19 და 21-ე მუხლებში აღწერილი საქმიანობების შესაბამისად. სკოლას არ აქვს შემუშავებული ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სკოლამ ცვლილებები შეიტანა ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში, გაწერა მასში ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმასთან ერთად. ცვლილებების შეტანა განხორციელდა სკოლის დირექტორის ინიცირებით და დამტკიცდა სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ (ოქმი #12. 16.11.2023წ.).

ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო წარმოდგენილი დოკუმენტი და აღნიშნული ინდიკატორი შეაფასა, როგორც შესაბამისი.

2. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის შესაბამისად, ხარისხის ჯგუფის მიერ მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების საფუძველზე განისაზღვრება პერსონალის განვითარების მეთოდების/აქტივობების ფორმა (ტრენინგები, სემინარები, კონფერენციები და ა.შ.). ხარისხის უზრუნველყოფის დებულების თანახმად, ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები ესწრებიან ერთმანეთს და სკოლის სხვა მასწავლებლებს გაკვეთილებზე შემუშავებული გრაფიკის შესაბამისად, სპეციალური დაკვირვების ფორმის გამოყენებით და აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. მასწავლებლის გაკვეთილზე დასწრება საჭიროებიდან გამომდინარე შეიძლება განხორციელდეს გეგმის გარეშე, ამისთვის საჭიროა მასწავლებლის ინფორმირება გაკვეთილის დაწყებამდე მხოლოდ 5 წუთით ადრე. მასწავლებლების საჭიროებების გამოვლენა ხდება ასევე კათედრებზე, შედეგად კი იგეგმება შესაბამისი აქტივობები როგორც შიდა რესურსების (გამოცდილების გაზიარება, სამუშაო შეხვედრები) ასევე გარე რესურსების (მასწავლებლის სახლის ტრენინგები და ვებინარები) დახმარებით. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, მუხლი 18, სკოლის დირექტორის მოადგილე და უშუალო კათედრის თამჯდომარე, ერთობლივად ადგენენ კონკრეტულ ტრენინგ-პროგრამას ახალი თანამშრომლისთვის, სადაც მითითებულია რა დამატებითი ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინოს თანამშრომელმა, შემდგომი მუშაობისთვის. სკოლის ტექნიკური პერსონალის განვითარება ხორციელდება პერიოდულად მატერიალური ტექნიკური კოორდინატორის მიერ, რაც ძირითადად უკავშირდება ჰიგიენური საშუალებების გამოყენებას. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არ მოიცავს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის საქმიანობის განვითარების გზებს.

სკოლამ ცვლილებები შეიტანა ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში, გაწერა მასში ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის საქმიანობის განვითარების გზები და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმასთან ერთად. ცვლილებების შეტანა განხორციელდა სკოლის დირექტორის ინიცირებით და დამტკიცდა სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ (ოქმი #12. 16.11.2023წ.).

ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო წარმოდგენილი დოკუმენტი და აღნიშნული ინდიკატორი შეაფასა, როგორც შესაბამისი.

3. სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის სამსახური, რომელიც აფასებს რა თითოეულ მასწავლებელს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. სკოლის დირექტორის 2020 წლის 26 ნოემბრის №01-02/98 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომელიც ვიზიტის პერიოდისთვისაც მოქმედი იყო. აღნიშნული დებულების მიზანია მასწავლებელთა შიდა შეფასება, მათი პროფესიული საჭიროების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა. მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფები, რომლებიც ჩართული არიან USAID საბაზისო განათლების პროგრამაში, ხელს უწყობენ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას მათემატიკისა და კითხვის სწავლების მიმართულებით. სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი ტრენინგების შესახებ ინფორმაციას სკოლა აზიარებს სკოლის ფეისბუქ გვერდზე, დახურულ ჯგუფში. ასევე აღნიშნული ინფორმაციები გამოიკვრება სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სკოლაში დანერგილია კრიტიკული მეგობრის კულტურა, საჭიროებისამებრ მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილზე და გასცემენ განმავითარებელ ზეპირ და წერილობით უკუკავშირს. სკოლის 2023-2030 სტრატეგიულ გეგმასა და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია მასწავლებლის პროფესიული განვითარების ხელშეწყობი ამოცანები და მისი შესაბამისი აქტივობები. **სკოლის ხარისხის განვითარების დებულება და სამოქმედო გეგმები არ მოიცავს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის განვითარების გზის ხელშეწყობ აქტივობებს.**

სკოლამ ცვლილებები შეიტანა სკოლის ხარისხის განვითარების დებულებაში, გაწერა მასში ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის განვითარების გზის ხელშეწყობი აქტივობები და წარმოდგინა შესაბამისობის გეგმასთან ერთად. ცვლილებების შეტანა განხორციელდა სკოლის დირექტორის ბრძანებით 01-02/125 (16.11.2023წ.). ასევე, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში შეტანილია ცვლილებები. კერძოდ: „სკოლის თანამშრომელთა, მასწავლებელთა პროფესიული და კარიერული განვითარება“ დამატა სამი აქტივობა (4.8; 4.9; 4.10), რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის საჭიროებათა კვლევას და მის შემხვედრ აქტივობებს, რომელიც მიმართულია პერსონალის განვითარებისკენ.

ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო წარმოდგენილი დოკუმენტები და აღნიშნული ინდიკატორი შეაფასა, როგორც შესაბამისი.

4. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, მუხლი 18, განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმები. იმისათვის, რომ სწრაფად მოხდეს ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, სკოლა ეხმარება მათ გაეცნონ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს, რა მიზნითაც ახდენს თანამშრომლებთან პირველი შეხვედრის საგანგებო ორგანიზებას, სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლის ტერიტორიის დათვალიერებას, სკოლის სოციალურ ქსელის ჯგუფში გაწევრიანებას. ახალი თანამშრომლის სოციალიზაციაზე მასწავლებლის შემთხვევაში პასუხიმგებელია საგნობრივი კათედრის თავმჯდომარე,

ტექნიკური პერსონალის შემთხვევაში - დირექტორის მოადგილე/მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, რომელთა მიერ ახალდანიშნულ თანამშრომელისათვის ხდება სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, მიმდინარე ერთწლიანი და სტრატეგიული გეგმების, შინაგანაწესის მოთხოვნებისა და სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლში მოქმედი პროცედურების, წესების, სამუშაო აღწერილობის გაცნობა.

ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესის მე-19 მუხლის შესაბამისად. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმები, მათ შორისაა არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები. კრიტერიუმების საფუძველზე ყოველწლიურად ხდება საუკეთესო მასწავლებლის გამოვლენა. გასულ სასწავლო წელს სკოლამ კოლეგების პროფესიულ განვითარებაზე ყველაზე მეტად მზრუნველი მასწავლებელი წარადგინა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის სტატუსის მინიჭებაზე.

ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- სკოლის სამოქმედო გეგმა 2023-2024;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ბრძ. 01-02/56 2023წ.;
- პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება 26/11/2020 წ;
- დოკუმენტები: გამოცდილების გაზიარება;
- ურთიერთდასწრება (გაკვეთილის გეგმა, რეფლექსია, უკუკავშირი);
- წერილი რესურსცენტრს დამსახურებული მასწავლებლის წარდგენაზე;
- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი #12. 16.11.2023წ;
- სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში ცვლილებების შეტანის შესახებ 01-02/125. 16.11.2023წ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2023 წლის 5 სექტემბრის №01-02/64 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომლის მიზანია პროცესებზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბება. სკოლაში საგანმანათლებლო ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. პროცესების ხარისხის განვითარება ხორციელდება სკოლის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და გამოიყენება სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის. სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე ციკლს. აღნიშნულზე დაფუძნებული სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, მასწავლებელთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობის მექანიზმი, სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმების მონიტორინგი და შეფასება.

ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის დირექტორის 2023 წლის 5 სექტემბრის №01-02/64 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტის თანახმად სკოლის მმართველობითი პროცესებია: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, სკოლის მართვის სისტემის შენარჩუნება და განვითარება, სკოლის ინფრასტრუქტურის დახვეწა, განვითარება და ინფორმაციის გაზიარება. ძირითადი პროცესებია: კურიკულუმის შემუშავება, დაგეგმვა, განვითარება, მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, არაფორმალური განათლება. სკოლის დამხმარე პროცესებია: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოების

უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება, კარიერული განვითარება და მასწავლებელთა წახალისება. სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესები აღწერილია სკოლის რეგულაციებში: სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, შეფასების ვერიფიკაციის წესი, მმართველობითი პროცესები რეგულირდება სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით. მასწავლებლის დასაქმება და პროფესიული განვითარება რეგულირდება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, კათედრების საქმიანობის წესით (წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში), ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით, სხვა ძირითადი და დამხმარე პროცესები აღწერილია სკოლის შინაგანაწესში.

ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია

3.სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2023 წლის 8 სექტემბრის №01-02/82 ბრძანებით დამტკიცებული ბავშვთა უფლებათა კონვენციის შესაბამისად შექმნილი „მოსწავლის განცხადების/საჩივრის განხილვის წესი“, სადაც ბავშვთა მიმართ ძალადობის გასაჩივრების ორგანოდ სახელდება სკოლის დისციპლინური კომიტეტი. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და შესაბამისი დისციპლინური სახდელები. დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობით მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. სკოლის შინაგანაწესი მუხლი 30 ადგენს გასაჩივრების მექანიზმებს. კერძოდ: სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დასაქმებულისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებასთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორის უარი დასაქმებულისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე ან დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება დასაქმებულისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ საჩივრდება სამეურვეო საბჭოში (სააპელაციო კომიტეტში არსებობის შემთხვევაში); სამეურვეო საბჭო, დისციპლინური გადაცდომის საჩივრის განხილვისას ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავით ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების ნორმებით და საჩივარს იხილავს 1 თვის ვადაში; სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საჩივრდება სასამართლოში. სკოლასა და მშობელს შორის წარმოქმნილი დავის რეგულირება განხილულია სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში. სკოლის თანამშრომლებსა თუ მოსწავლეთა მშობლებს დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეუძლიათ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში - მისამართზე: ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358.

ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 8 სექტემბერს, სკოლის დირექტორის 01-02/80 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი“, რომელშიც გაწერილია სასკოლო საზოგადოების ყველა მხარის უფლებები და უფლებების დარღვევის გასაჩივრების მექანიზმები. სასკოლო საზოგადოების კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით სკოლას ასევე აქვს შინაგანაწესი, სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო, სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, ორი ექთანი,

თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი და სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა. მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. თითოეულ დასაქმებულთან, მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/მეურვეებს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებელი გააცნობს შინაგანაწესს, ასევე შინაგანაწესში შეტანილ ცვლილებებს ცვლილების შეტანიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. სკოლაში დასაქმებული თითოეული პირის შრომითი უფლებები დაცულია საქართველოს კანონმდებლობით. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების ვერიფიკაციის წესი;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი დებულება;
- შინაგანაწესი;
- ბრძანებების წიგნი;
- მოსწავლეთა მშობლებთან/მეურვესთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- მოსწავლის განცხადების/საჩივრის განხილვის წესი ბრძ. 01-02/82 08/09/2023წ.
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი. ბრძ. 01-02/80 08/09/2023წ.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს ვებგვერდი, გვერდი სოციალური ქსელში, სადაც პერიოდულად განათავსებს სკოლაში დაგეგმილი და მიმდინარე ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას და იღებს უკუკავშირს. თითოეული კლასის დამრიგებელს შექმნილი აქვს ფეისბუქ ჯგუფი, რომელშიც გაწევრიანებული არიან მოსწავლეთა მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები. ამ ჯგუფების დახმარებით, ასევე ხდება მშობლების ინფორმირება, გამოკითხვა და სხვა საჭირო აქტივობების განხორციელება. სკოლის ადმინისტრაცია აწყობს მიზნობრივ შეხვედრებს მშობლებთან სკოლაში მიმდინარე სიახლეების გაცნობის მიზნით. შეხვედრებზე/ მშობელთა კრებებზე ხდება მშობლების ინიციატივებისა და წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება და ერთობლივად გადაჭრის გზების დასახვა. სკოლის მოსწავლეთა მშობლები მონაწილეობენ სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნებში.

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების ჩატარების გზებს, შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების (ვებ. გვერდი, ელ-ფოსტა, სოციალური მედია) მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს.

სკოლის საქმისწარმოების წესის თანახმად, პირადი საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ სკოლის დირექციას წერილობითი განცხადებით, რაზეც დირექციის მხრიდან იღებენ უკუკავშირს. აქედან გამომდინარე, სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2.მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩართულობა სკოლის მართვის ორგანოებში უზრუნველყოფილია მათი წარმომადგენლებით სამეურვეო საბჭოში, რომელიც არის უმაღლესი არჩევითი ორგანო და რომელთანაც ხდება სკოლისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების წარდგენა დასამტკიცებლად და/ან შესათანხმებლად. მოსწავლეთა არჩევითი ორგანოს, სკოლის სტრუქტურული ერთეულის, მოსწავლეთა თვითმმართველობის საშუალებით უზრუნველყოფილია მოსწავლის ჩართვა სკოლის მართვაში. მასწავლებელთა გაერთიანება - პედაგოგიური საბჭო მონაწილეობს სასკოლო ცხოვრების მთელ რიგ გადაწყვეტილებების მიღებაში, კათედრები - კათედრის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არიან ჩართული, დისციპლინური კომიტეტი - განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებგვერდი <https://salibauri2.edu.ge/>; <https://bit.ly/3QRstZI>
- სოციალური ქსელი <https://www.facebook.com/profile.php?id=100005723318433>;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;
- საქმისწარმოების წესი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მდებარეობს სოფელ სალიბაურში 73476.00 კვ.მ ფართზე. შენობა ნაგებობების საერთო ფართი შეადგენს 3981.60 კვ.მ. სკოლის ეზოში განთავსებულია 10 შენობა. ესენია: 1 სამზარეულო (04), 1 ბუფეტი(05), 1 გასახდელი(03), 1 სახელოსნო(09), 1 ელ.ჯიხური(10), 1 გარე საპირფარეშო(07) და 1 სამეურნეო ოთახი(11). სამი შენობა ვიზიტის მომენტისთვის გამოიყენებოდა სასწავლო მიზნებისთვის. ერთ შენობაში

(01) განთავსებულია საკლასო ოთახები დაწყებითი (V-VI კლასები), საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, კომპიუტერული კლასი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ინვენტარის საცავი, საკლასო ოთახები, სამედიცინო კაბინეტი, მანდატურის კაბინეტი, რესურს ოთახი და სველი წერტილები. მეორე შენობა (06), ასევე ნაწილობრივ გამოიყენება სასწავლო მიზნებისთვის. მასში განთავსებულია დაწყებითი I-IV კლასები და დაკეტილია პანსიონის საძინებლებისთვის განკუთვნილი, შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი ოთახები. მესამე შენობაში (02), რომელსაც სკოლა ასევე იყენებს სასწავლო მიზნებისთვის განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკა, სამკითხველო, სააქტო დარბაზი და მცირე სპორტული დარბაზი.

სკოლის ტერიტორია შემოსაზღვრულია ღობით, რომელიც მთლიანობა ხშირ შემთხვევაში დარღვეულია. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია 12 ერთეული ვიდეო სათვალთვალო კამერით. სკოლის ორივე სასწავლო კორპუსში უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი ორი მანდატური. სკოლის ძირითადი შენობის ორივე სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა; გამოკრულია შესაბამისი უწყებების ტელეფონის ნომრები(მათ შორის საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ერთიანი სატელეფონო ნომერი „112“). ასევე, თვალსაჩინოდ გამოკრულია თამბაქოს მოწევის აკრძალვისა და ვიდეო კონტროლის მიმდინარეობის აღმნიშვნელი ნიშნები. სკოლას დამტკიცებული აქვს შენობაში და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესი და მასთან დაკავშირებული ღონისძიების განხორციელების მექანიზმები.

სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო. სკოლის პრაქტიკაა მასწავლებელთა მორიგეობა სართულების მიხედვით. სკოლის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი. ასევე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან.

სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებული სამი შენობიდან, სკოლას არც ერთი შენობისთვის არა აქვს დასკვნა შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე. 2023 წლის 15 ივნისს გაგზავნილია წერილი, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესაფასებლად.

სკოლამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს 2021 წლის 13 ივლისის დასკვნა სკოლის სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების შესახებ და გაცემული მიწერილობები სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ ვადების მითითებით. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული ვადები დასრულდა 2022 წლის 30 იანვარს. შესაბამისად, სკოლას არა აქვს დასკვნა სამი სასწავლო შენობა-ნაგებობებიდან არც ერთის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

საშტატო განრიგით სკოლას ჰყავს ექიმი. სკოლამ სამჯერ გამოაცხადა ვაკანსია ექიმის აყვანის მიზნით, თუმცა ვერ მოახერხა. ვიზიტის მომენტისთვის სკოლა იყენებდა პანსიონის საშტატო განრიგით გათვალისწინებული 2 ექთნის მომსახურებას. ექთნის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ-ით (2022 წლის 21 მარტი) განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლის სამედიცინო კაბინეტი არის სათანადოდ აღჭურვილი.

სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი. სკოლის სასწავლო კორპუსების საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არ არის შეთანხმებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით სკოლის შინაგანაწესის მე-18 მუხლით გაწერილია შრომის პირობების დაცვის წესები. სკოლას მიეცა რჩევა, ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.

ვინაიდან, სკოლის ღობის მთლიანობა დარღვეულია, სკოლას არა აქვს დასკვნა სკოლის სასწავლო შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე, დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, სკოლის სასწავლო შენობების (#01,02,06) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არ არის შეთანხმებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, სკოლა ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დასკვნა სკოლის სასწავლო შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე.

ასევე, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. წარმოდგენილი გეგმის მიხედვით სკოლა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნას მოიპოვებს და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას შეთანხმებს შესაბამის ორგანოსთან 2024 წლის 16 ნოემბრამდე, 12 თვის პერიოდში. წარმოდგენილია სკოლის სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ (ვადა 15.12.2023წ) და სკოლის დირექტორის წერილი (16.11.2023) შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა მეტწილ შესაბამისობაში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას შეთანხმება შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან სკოლის სამივე (#01,02,06) სასწავლო შენობისთვის.

2.სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებრივი დაცვის მექანიზმები. კერძოდ, შინაგანაწესით რეგულირდება სკოლაში დისციპლინური დევნის წარმოება, სკოლაში გამოვლენილ დარღვევებზე ხდება შესაბამისი რეაგირება, სკოლას ემსახურება 2 მანდატური. სართულების მიხედვით სკოლის პრაქტიკაა მასწავლებელთა მორიგეობა. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია დამრიგებლის ვალდებულება, დაეხმაროს მოსწავლეს სასკოლო გარემოში წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში. ყოველდღიურად აწარმოოს მოსწავლეთა აღრიცხვა და კონტროლი (დაგვიანებები, საპატიო და არასაპატიო გაცდენები); მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობებში გაწერილია საკუთარ გაკვეთილზე, კლასში, წესრიგის და დისციპლინის დაცვის ვალდებულება და მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა;

სკოლაში დირექტორის 2023 წლის 7 აპრილის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის ტერიტორიაზე, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ნიმუშის სახით წარმოდგენილი სკოლის მრჩეველთა საბჭოს ოქმები, სადაც განხილულია მოსწავლეთა საპატიო და არასაპატიო დაგვიანების აღრიცხვის, ბუფეტის გახსნის, ბულინგის პრევენციის საკითხები. ასევე, მრჩეველთა საბჭოს ანგარიშის შესახებ სასკოლო დროს უსაფრთხოების და წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით. სკოლას აქვს მოსწავლის სკოლიდან გაშვების საშვი. კონტროლდება სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილება, დარაჯის მიერ, რომელიც ახორციელებს პირთა რეგისტრაციას შესაბამის ვიზიტორთა ჟურნალში. დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი უზრუნველყოფს თავისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების გაცდენების კონტროლს და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

ინდიკატორი 3.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

3.ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მანდატურის სამსახურის „უსაფრთხო სკოლის სახელმძღვანელოში“ გაწერილი ინსტრუქციების შესაბამისად. სკოლის ფოიეში გამოკრულია მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური საკონსულტაციო მომსახურების საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, რომლითაც ნებისმიერ მსურველს აქვს საშუალება უფასოდ მიიღოს მაღალკვალიფიციური, ფსიქო-სოციალური კონსულტაცია. ასევე, ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის ცხელი ხაზის, მანდატურის სამსახურის მონიტორინგის სამმართველოს, საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომრები. სკოლის მრჩეველთა საბჭოს 2023 წლის 4 აპრილის სხდომის ოქმი №3 დან დგინდება, რომ დირექციამ მიიღო პრევენციული ზომები ძალადობის ფაქტების შემცირებასთან დაკავშირებით. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სადამრიგებლო პროგრამებში ყველა კლასში გათვალისწინებულია კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების უნარები განვითარებისთვის ხელშემწყობი აქტივობები თუ კლასის საათები. სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა არაფორმალური განათლების გაძლიერებას. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია დამრიგებლის მუშაობის პრინციპები, რომელთა შორისაა აღზრდის მთლიანობა – პიროვნების ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალური და სულიერი განვითარება; სრულფასოვანი აღზრდა - სადამრიგებლო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ; დამრიგებლის მოვალეობაა დაეხმაროს მოსწავლეებს სასკოლო გარემოში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში; იყოს შუამავალი რგოლი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში.

სკოლას მიეცა რჩევა, შექმნას ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის ერთიანი მექანიზმი, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებასთან.

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია

4.სკოლას აქვს სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის მექანიზმი. სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელია მატერიალური ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ხოლო სკოლის სანიტარულ - ჰიგიენურ ნორმებს პერიოდულად ამოწმებს მედდა(ექთანი). სანიტარულ- ჰიგიენური საშუალებები ინახება მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის

ზედამხედველობის ქვეშ. სკოლის ორ სასწავლო კორპუსში განთავსებულია სველი წერტილები. ცალ-ცალკეა გამოყოფილი მასწავლებლისთვის, გოგონებისთვის, ვაჟებისთვის და იზოლირებულია. არის ხელსაბანები, დახურული ნაგვის ურნები. სისტემატურად ხდება საკლასო ოთახებისა და სველი წერტილების დეზინფექცია, სკოლიდან ნარჩენების გატანა ხდება ორ კვირაში ერთხელ გაფორმებული ხელშეკრულების №05/10-2 შესაბამისად. სკოლას ჰყავს საშტატო განრიგით 2 დამლაგებელი, რომელიც ემსახურება საგანმანათლებლო სივრცეს. პანსიონის საშტატო განრიგით განსაზღვრული პირები ემსახურებიან პანსიონისთვის განკუთვნილ სივრცეებს.

ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია

5.სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2021 წლის 25 თებერვლის №01-02/11 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რომელიც აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. მოსწავლეთა პირადი საქმეები განთავსებულია სპეციალურად გამოყოფილ, დაცულ სივრცეში და მათზე წვდომა აქვთ საქმისმწარმოებელს და დამრიგებლებს. მოსწავლის მობილობის შემთხვევაში მოსწავლის პირადი საქმე ფოსტით გადაეგზავნება მიმღებ სკოლას. სკოლაში დაცულია სკოლის პერსონალის პირადი საქმეები. პერსონალთა პირად ინფორმაციაზე წვდომა აქვს სკოლის ბუღალტერს. დარაჯს აქვს წვდომა შენობაში შემსვლელი და გამსვლელი პირების პირად მონაცემებზე.

ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია

6.სკოლის დირექტორის 2021 წლის 25 თებერვლის №01-02/11 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ მოიცავს პერსონალური მონაცემების დაცვას როგორც მატერიალურად ისე ელექტრონული პროგრამის გამოყენებისა და ვიდეოთვალთვალის განხორციელებების შემთხვევაში. განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება. დოკუმენტში მოცემულია დოკუმენტის შესრულების მონიტორინგისა და მისი გაცნობის მუხლები, შესაბამისი პირობებით. სკოლას ჰყავს სკოლის დირექტორის 2021 წლის 25 თებერვლის №01-02/12 ბრძანებით განსაზღვრული სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც პასუხისმგებელია სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი გააცნოს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირს ევალება მუდმივი მონიტორინგი გაუწიოს მონაცემთა დამუშავებას, მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან. იგი ვალდებულია, ამ მიმართულებით, ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სკოლის დირექტორს, შესაბამისი რეაგირების განხორციელების მიზნით. სკოლასა და მშობელს/მეურვეს შორის გაფორმებულ ხელშეკრულება მოიცავს შეთანხმებას მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავება- გამოყენების თანხმობაზე.

ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია

7. სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში მანდატურისა და სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო. მრჩეველთა საბჭოს მიერ მიღებული

გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები გამოიყენება რეაგირების მექანიზმების გასაუმჯობესებლად. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც დასტურდება წარმოდგენილი მრჩეველთა საბჭოს ოქმებით. სკოლის დირექტორი მრჩეველთა საბჭოს ყოველწლიურად აბარებს ანგარიშს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით (მრჩეველთა საბჭოს ოქმი №4 15/06/2023წ).

ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თამბაქოს მოწევის აკრძალვის წესი;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის შექმნა;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- სახანძროს მიწერილობა;
- ხელშეკრულება ნარჩენების გატანის თაობაზე;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტიგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლა მდებარეობს სოფელ სალიბაურში 73476.00 კვ.მ ფართზე, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. აღნიშნულ ფართზე, სკოლის ეზოში განთავსებული 10 შენობიდან სასწავლო მიზნებისთვის გამოიყენება მხოლოდ 3 შენობა. ერთ შენობაში განთავსებულია 13 საკლასო ოთახი დაწყებითი (V-VI კლასები), საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, კომპიუტერული კლასი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ინვენტარის საცავი, სამედიცინო კაბინეტი, მანდატურის კაბინეტი, რესურს ოთახი და სველი წერტილები. მეორე შენობა, ასევე ნაწილობრივ გამოიყენება სასწავლო მიზნებისთვის. მასში განთავსებულია დაწყებითი I-IV კლასები (სულ 4 საკლასო ოთახი და 14 სამიწებელი ოთახი)და სველი წერტილები. მესამე შენობაში, რომელსაც სკოლა ასევე იყენებს სასწავლო მიზნებისთვის, განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკა, სამკითხველო, სააქტო დარბაზი და მცირე სპორტული დარბაზი, რომელიც გამოიყენება ტანვარჯისთვის და სპორტული ინვენტარის შესანახად. სკოლას აქვს ბუნებრივი საფარით დაფარული სპორტული მოედანი. ინვენტარიზაციის დოკუმენტებით იკვეთება, რომ სკოლას აქვს სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შესაბამისი ინვენტარი და რესურსი. მერხები და სკამები მოსწავლეთა რაოდენობის მოთხოვნილი კვოტის შესაბამისია. ყველა კლასში არის დაფა. სკოლის კომპიუტერულ კლასში განთავსებულია ერთი კომპიუტერი მუშა მდგომარეობაში, პრინტერი, პროექტორი, ხმის გამამდიერებლები. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა (კეთილმოუწყობელი), რომელიც შედგება საცავისა და სამკითხველო სივრცისაგან. სკოლის ინვენტარიზაციით დგინდება, რომ სკოლას აქვს კურიკულუმისთვის საჭირო წიგნადი ფონდი. ვიზიტის ეტაპისთვის სკოლას არ ჰქონდა ელექტრონული კატალოგი, არ ხდებოდა სალიტერატურო წიგნების გაცემის აღრიცხვა. სასკოლო სახელმძღვანელოები დამოწმებული

იყო ბიბლიოთეკის ბეჭდით 1-ელსა და მე-17 გვერდებზე. სკოლას შემუშავებული აქვს და სკოლის დირექტორის N01-02/ 83 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავდა ახალ მიღებული ბიბლიოთეკარი, რომელთან გასაუბრებლათაც დადგინდა, რომ სკოლის მიერ დამტკიცებული ბიბლიოთეკით სარგებლობის დებულებას მოიცვანდა ქმედებაში. სკოლას აქვს რესურსოთახი.

ინდიკატორი 3.5.1.1. დაკმაყოფილებელია

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლიათ მოსწავლეებს, მასწავლებლებს და მშობლებს. სკოლაში არსებული სივრცეები - სკოლის დერეფნები, ეზო, კომპიუტერული კლასი, სამასწავლებლო, სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი სოციალიზაციისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. საკლასო ოთახების სივრცეები საშუალებას იძლევა მასწავლებლებმა დაგეგმონ და წარმართონ ჯგუფური სამუშაოები, რაც ასევე მოსწავლეებში სოციალური უნარების განვითარებას უწყობს. სკოლას აქვს ტელევიზორი, მუსიკალური ცენტრი, DVD მაგნიტოფონი, ვიდეოკამერა, ციფრული ფოტოაპარატი, ხმის გამამძიერებელი. სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც უზრუნველყოფს არსებული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, რათა მაქსიმალურად საინტერესო გახდეს სასწავლო პროცესი.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებელია

3. სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებული სკოლის სამივე შენობა ორ და სამ სართულიანია, შესასვლელებში მოწყობილია პანდუსი. რესურს ოთახი განთავსებულია სკოლის ძირითად სასწავლო შენობაში. სკოლას არც ერთ კორპუსში არ აქვს ლიფტი და/ან მოძრავი პანდუსი, რაც შშმ პირს სკოლის სასწავლო კორპუსების შიდა ტერიტორიაზე გადაადგილების საშუალებას მისცემდა.

ერთმანეთისგან მოშორებით მდებარე სკოლის არც ერთ სასწავლო კორპუსში არ არის მოწყობილი სტანდარტის შესაბამისად ადაპტირებული სველი წერტილი. ექსპერტთა მოსაზრებით, სკოლის ძირითად კორპუსთან ახლო მდებარეობის გამო მისი არსებობის აუცილებლობა არ არის სკოლის მესამე შენობაში, სადაც განთავსებულია ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი და სპორტული დარბაზი.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. წარმოდგენილი გეგმის მიხედვით სკოლა მოძრავი პანდუსისა და ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობას სკოლის ორ სასწავლო კორპუსში უზრუნველყოფს 12 თვის (16.11.2023 – 11.16.2024) პერიოდში.

ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა მეტწილ შესაბამისობაში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში, ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით უზრუნველყოს მოძრავი პანდუსის მოწყობა სკოლის სამივე სასწავლო შენობაში და ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა სკოლის ორ (#01,06) სასწავლო კორპუსში.

4. შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. სკოლის ეზო, შესასვლელი ფოიე, სპორტული დარბაზი, კომპიუტერული კლასი, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სასკოლო სასწავლო გეგმით დაგეგმილი, უხვი სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.

ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებელია.

5. სკოლის ძირითად კორპუსში (01) სასწავლო პროცესი მიმდინარეობს V-XII კლასებში, ხოლო მეორე კორპუსში (06) განთავსებულია მხოლოდ 4 საკლასო ოთახი, სადაც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს I-IV კლასებში. კომპიუტერული კლასი მოწყობილია სკოლის ძირითად კორპუსში, სადაც განთავსებულია პროექტორი, ეკრანი და ინტერნეტით უზრუნველყოფილი 1 კომპიუტერი. მასწავლებელი დაწყებით საფეხურზე ძირითადად იყენებს მოსწავლეთა ბუკებს. ვიზიტის პერიოდში სკოლამ მიიღო წერილი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან, რომ დამატებით გადაეცემოდა 47 ლეპტოპი. სკოლის დირექციის თქმით, აღნიშნული კომპიუტერების რაოდენობა სრულად იქნებოდა საკმარისი კომპიუტერული კლასის მოწყობისთვის სკოლის ორივე სასწავლო შენობაში. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას აქვს სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება: რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვა. სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკაში არის, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები. სკოლის ეზოში მოწყობილია სპორტული მოედანი. ერთ-ერთ სასწავლო კორპუსში (02), სადაც განთავსებულია ბიბლიოთეკა და სააქტო დარბაზი, მდებარეობს მცირე სპორტული დარბაზი, რომელიც გამოიყენება ტანვარჯისთვის და სპორტული ინვენტარის შესანახად. სკოლა უზრუნველყოფილია სპორტული აქტივობებისთვის საკმარისი რესურსით. ესენია: ტანვარჯიშის სკამი, ტანვარჯიშული ლეიბი - 4 ცალი, ტანვარჯიშული რგოლები; ჩოგბურთის მაგიდები, ბურთები და ჩოგნები; მძლეოსნობისთვის საჭირო საბჯენები, სატყორცნი ბირთვები; დგარები, გადასახტომი ბარიერები, დასაგები კიბე, ლახტები; ფრენბურთის ბადეები; ფეხბურთის, ფრენბურთისა და რაგბის ბურთები. ძირითად სასწავლო კორპუსში, სადაც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს V-XII კლასებში, თავისუფალი საკლასო ოთახების არ არსებობის გამო, სკოლას არა აქვს მოწყობილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. თუმცა გამოყოფილია ოთახი, სადაც განთავსებულია რესურსები, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის სწავლებისას საგაკვეთილო პროცესში. (მასწავლებლებს გააქვთ აღნიშნული რესურსები საკლასო ოთახში) არსებული რესურსები იძლევა მარტივი ცდების ჩატარების საშუალებას ფიზიკაში, ქიმიაში და ბიოლოგიაში (იხ. ლაბორატორიის აღწერის აქტი). სკოლას გააჩნია პლაკატები- თვალსაჩინოებები, რომლებიც ასევე მრავლად იყო წარმოდგენილი საკლასო ოთახებში. გასაუბრებაზე საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ საგაკვეთილო პროცესში ასევე აქტიურად იყენებენ მოსწავლეების მიერ შექმნილ რესურსებს, მოდელებს და ვირტუალურ ლაბორატორიას. ფუნქციონირებს კლუბი „ჩხირკედელა“, რომელიც უზრუნველყოფილია დაგეგმილი პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის სათანადო რესურსებით. მიუხედავად ამისა, სკოლას არ აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სადაც მოსწავლეები შეძლებენ ცდების ჩატარებას, კვლევების განხორციელებას, პროცესებზე დაკვირვებას უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

სასურველია სკოლის ბიბლიოთეკისთვის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებელია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ბიბლიოთეკის დებულება ბრძ. N01-02/83 08/09/2023წ;
- ინვენტარიზაციის ოქმები;
- შენობა ნაგებობების სქემები;
- სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ლაბორატორიის აღწერის აქტი №4/3. 15/11/2023წ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ადმინისტრაცია აღჭურვილია კომპიუტერთა და პრინტერით, რაც ძირითადად უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას. ადმინისტრაციაში არსებული რესურსები ასევე ხელმისაწვდომია სასკოლო ცხოვრებაში ჩართული ნებისმიერი

დაინტერესებული პირისათვის, მათ შორის მოსწავლეებისთვისაც. სკოლამ წარმოადგინა წერილი ხალვაჩაურის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრისადმი შუამდგომლობით საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან დამატებითი კომპიუტერული ტექნიკის მოთხოვნის მიზნით. პასუხად, ვიზიტის პერიოდში სკოლამ მიიღო წერილი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან, რომ მიმდინარე სასწავლო წლის ოქტომბრის თვის ბოლომდე დამატებით გადაეცემოდა 47 ლეპტოპი. ვიზიტის პერიოდისთვის სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიაში განთავსებული იყო და სასწავლო პროცესში გამოიყენებოდა ერთი პერსონალური კომპიუტერი, პრინტერი და პროექტორი, პროექტორის ეკრანი, ხმის გამამდიერებელი.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული რესურსი მწირია, თუმცა მაქსიმალურად ხდება სასკოლო ცხოვრებაში ჩართული თითოეული დაინტერესებული პირის მიერ ადმინისტრაციაში არსებული რესურსების გამოყენება. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშესაწყობად სკოლამ შეიმუშავა სკოლის ციფრული განვითარების სამოქმედო გეგმა, სადაც გათვალისწინებულია სკოლის კომპიუტერული რესურსით სარგებლობის განრიგის შემუშავება. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც ითვალისწინებს სკოლის კომპიუტერული კაბინეტით სარგებლობის წესებს.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ციფრული განვითარების სამოქმედო გეგმა;
- სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- წერილი დამატებითი კომპიუტერების მოთხოვნის შესახებ.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ თავდაპირველად წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2013 წლის 6 სექტემბრის №01-03/101 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი და მასში ცვლილებების შეტანის პროექტი, რომელიც ვიზიტის პერიოდში დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 აგვისტოს №01-02/57 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი სკოლამ გადმოაგზავნა ვიზიტის შემდგომ დოკუმენტაციასთან ერთად. ასევე წარმოდგენილია სკოლის დირექტორის 3 ოქტომბრის № 01-02/100 ბრძანებით შეტანილი ცვლილებები. ვიზიტის შემდგომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლა ახდენს დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებს, დაცულია დოკუმენტის ფორმები და ტიპები, რეგისტრირდება გასული და შემოსული დოკუმენტაცია, პერსონალის და მოსწავლეების პირადი საქმეები იწარმოება დადგენილი წესის შესაბამისად, სკოლას აქვს საკადრო და საერთო ბრძანებების ჟურნალები, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები. გაფორმებული ხელშეკრულებები დანომრილია და აღრიცხულია შესაბამის ზონარგაციურ, დამოწმებულ სარეგისტრაციო ჟურნალში.

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებელია

2. სკოლა, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემას (e-flow, ელექტრონული ფოსტა, ვებ გვერდი), იყენებს გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის. სკოლა ასევე იყენებს, ელექტრონული ჟურნალს. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გამოყენებული აქვს ელექტრონული ფოსტა, გვერდი და სხვადასხვა დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებელია

3. ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა eschool-ის ბაზაში. სკოლას აქვს სრულყოფილად შევსებული პროფილი. სკოლის ბარათის ველში ასახულია ინფორმაცია სკოლის სახელის, მისამართის, სასწავლო კორპუსების შესაბამისად მოსწავლეთა რაოდენობის, სკოლის ვებ გვერდისა და საბანკო რეკვიზიტების შესახებ, ასევე განთავსებულია სკოლის ნახაზი. აღნიშნულის დასადასტურებლად სკოლას წარმოდგენილი აქვს ფოტო-მტკიცებულებაც. სკოლა დადგენილ დროში და კანონმდებლობის შესაბამისად ათავსებს ინფორმაციას აღნიშნულ პროფილზე.

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებელია

4. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. საქმისწარმოების წესის შესაბამისად საქმისმწარმოებელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს დოკუმენტებზე რეაგირების ვადების დაცვას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა სრულად, კანონმდებლობის შესაბამისად თანამშრომლობს მარეგულირებელ უწყებებთან, დროულად აწვდის მათ ანგარიშებს, უკუკავშირსა და საჭირო ინფორმაციას.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებელია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი ბრძანება №01-02/57 და №01-02/100 -2023 წელი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების ფოტო-მტკიცებულება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრალობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებგვერდი სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში <https://bit.ly/3QRstZI>. ასევე, სკოლის ვებგვერდი www.salibauri2.edu.ge ფუნქციონირებს 2015 წლიდან, ფეისბუქგვერდი <https://www.facebook.com/profile.php?id=100005723318433>, ელექტრონული ფოსტა khesalibauri2@mes.gov.ge. რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. ყველა მასწავლებელსა და მოსწავლეს აქვს შესაბამისი ელ.ფოსტა მათთვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად.

ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლის ვებ გვერდის, ვებგვერდის შესაბამისი გვერდის, სოციალური ქსელისა და საინფორმაციო დაფის დათვალიერების შედეგად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი.

ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს განსაზღვრავს სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს, ცნობადობის ამალგების ღონისძიებების ჩატარების გზებს, შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების (ვებ. გვერდი, ელ-ფოსტა, სოციალური მედია) მართვისა და განვითარების სტრატეგიებს; წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს. ამ წესის მე-8 მუხლის „უკუკავშირის შედეგები და ანალიზი“ შესაბამისად საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. სკოლა სწავლებას ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4. დაკმაყოფილებულია

5. სკოლას აქვს ვებ გვერდი <https://bit.ly/3QRstZI>, რომელიც განთავსებულია სკოლების პორტალზე www.skolebi.emis.ge. პორტალზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები (ატვირთულია სკოლის მოქმედი შინაგანაწესი), მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები და გასაჩივრების მექანიზმები და საკონტაქტო ინფორმაცია. ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია და გარკვეული დოკუმენტაცია ახლად დამტკიცებულია, კერძოდ, ფინანსური მდგრალობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები არ არის განთავსებული სკოლის ვებგვერდზე.

ინდიკატორი 3.6.3.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;
- სკოლის ვებგვერდი <https://bit.ly/3QRstZI>;
- სკოლის ვებგვერდი www.salibauri2.edu.ge
- ფეისბუქგვერდი <https://www.facebook.com/profile.php?id=100005723318433>

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2022 წლის წლიური ფინანსური ანგარიშით დგინდება, რომ ბიუჯეტი შემუშავებულია რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილში. ბიუჯეტის თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე, კომუნალურ გადასახადებზე, საოფისე ხარჯებსა და საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურებაზე. 2022 წლის ფინანსური ხარჯები განხორციელებულია სამოქმედო გეგმის შესაბამისად. ყოველი წლის დასაწყისში სკოლა საგანმანათლებლო რესურსცენტრში წარადგენს ფინანსური შედეგების ანგარიშგებას (წლიური ბალანსი). ყოველი წლის ბოლოს დირექტორი გამოსცემს ბრძანებას სკოლაში ინვენტარიზაციის ჩასატარებლად. საინვენტარიზაციო კომისიის შემადგენლობის შესახებ. კომისია ახდენს მცირეფასიანი ინვენტარის აღწერას, რაც შემდგომ გადაეცემა ბუღალტერს, რომლის მიერაც ძირითად საშუალებებს ერიცხებათ ცვეთა. მიღებული შედეგები აისახება წლიურ ბალანსში.

სსიპ ხელვაცაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლას განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ 448 ბრძანებაში „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ დანართი N3 - ით ახორციელებს პანსიონურ მომსახურებას. შესაბამისად, სკოლამ წარმოადგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილი (MES 1 22 0001680872 30/12/2022წ) რომლის თანხმად სკოლამ მიიღო 2023 წლის საბიუჯეტო ასიგნების კვარტალური განაწილება და დამტკიცებული პანსიონის 2023 წლის საშტატო განრიგი. წარმოდგენილი საშტატო განრიგის საფუძველზე პანსიონს ემსახურება 20 ერთეული. ესენია: ადმინისტრატორი, მენეჯერი, 4 აღმზრდელი, 2 ძიძა, 2 მედდა, 1 მუშა/მეეზოვე, 2 მრეცხავი, 3 დამლაგებელი, 2 მზარეული და 2 დარაჯი. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სკოლას ასევე ემსახურება 2 ვახტორი. ვიზიტის პერიოდში პანსიონი არ ფუქციონირებდა. სკოლის დირექტორის განმარტებით პანსიონის ინფრასტრუქტურა და პერსონალი აჭარის მთავრობის მიერ გამოიყენება მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკებისთვის.

სკოლამ წარმოადგინა სკოლის სამეურველო საბჭოსთან შეთანხმებული 2023 წლის კორექტირებული ფინანსური გეგმა. აღნიშნული ფინანსური გეგმის, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვების წესის, 2023 წლის შესყიდვების გეგმის, 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შეჯერების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საოპერაციო ხარჯები გათვალისწინებული აქვს ბიუჯეტში.

ინდიკატორი 3.7.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2016 წლის 8 ნოემბრის ბრძანება 01-03/160, რომლის თანახმად სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორად, მათ შორის შესყიდვების წლიური გეგმის ePLAN ში რეგისტრაციასა და მის შემდგომ კორექტირებაზე განსაზღვრა პასუხისმგებელი პირი, რომელიც ვიზიტის ეტაპისთვისაც ასრულებდა აღნიშნულ მოვალეობას. სკოლამ ასევე წარმოადგინა შესყიდვების კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში ცვლილებების შეტანის ბრძანება და შესაბამისი კორექტირებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. სამსახურებრივ ბარათს თან ახლავს ბაზრის კვლევის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022 წლის ფინანსური გეგმა და ანგარიში;
- წერილი სამეურვეო საბჭოს, ანგარიშის წარდგენის შესახებ;
- ინვენტარიზაციის ბრძანება და ოქმები;
- პანსიონის ფინანსური გეგმა-საშტატო;
- სამეურვეო საბჭოს წერილი კორექტირებული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ 04/10/2023წ;
- შესყიდვების კოორდინატორის განსაზღვრის ბრძანება 01-03/160 08/11/2016წ;
- ბრძანება შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ 01-02/98 27/09/2023წ;
- სკოლის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათი 21/09/2023წ;
- ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 21/09/2023წ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 8 სექტემბერს, სკოლის დირექტორის 01-02/80 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი“, რომელშიც გაწერილია მოსწავლის და მოსწავლის მეურვის უფლებები და უფლებების დარღვევის გასაჩივრების მექანიზმები. დოკუმენტს თან ახლავს ამ მიმართულების განსახორციელებელი აქტივობების სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს შესრულების ვადებს, პასუხისმგებელ პირებსა და მტკიცებულებებს. სკოლამ მიმდინარე წლის 7 სექტემბერს, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №9) განიხილა და დაამტკიცა სკოლის შინაგანაწესი, რომელიც სკოლა მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას ახორციელებს შემდეგი მუხლებით: მუხლი 20. მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი; მუხლი 33/34 მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები; მუხლი 36. მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი; მუხლი 37. მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევება; მუხლი 38. სკოლის მანდატურის მიერ შედგენილ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადები და პირობები. სკოლაში არის დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს.

სკოლას მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი მკაფიო ხელშეკრულება. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. წარმოდგენილ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სკოლის შინაგანაწესის გაცნობა, რაც დადასტურებულია მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით.

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და აღნიშნული წესის მონიტორინგის მექანიზმები. მოსწავლეთა უფლებებსა და ძირითად გარანტიებს არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი, ქულების დაანგარიშების მექანიზმები, სემესტრული, საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდის ჩატარების წესები, ინკლუზიური განათლების რეგულაციები, მათ შორის ისგ შემუშავებისა და შინ სწავლების პირობები. სკოლაში, დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის უსაფრთხოების შესახებ.

სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციებით: მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, შინაგანაწესი, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, პერსონალურ ინფორმაციათა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია, სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის დადებული ხელშეკრულებები მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას სრულად უზრუნველყოფს.

ინდიკატორი 4.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. სასკოლო რეგულაციების განმსაზღვრელი სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის ფოიეში. იგი ასევე განიხილება, როგორც სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნაწილი და ეცნობა მშობლებს სასწავლო წლის დასაწყისში, რაც დასტურდება ხელმოწერით. სკოლის ფოიეში გამოკრულია წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისთვის საჭირო ყველა საკონტაქტო პირისა და ცხელი ხაზის ნომერი.

ინდიკატორი 4.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ორივე მხარეს უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესს, დავის გადაწყვეტისა და მის მარეგულირებელ კანონმდებლობას, სხვა დამატებით პირობებს, მხარეთა რეკვიზიტებსა და ხელმოწერებს. საჭიროების შემთხვევაში ხდება ხელშეკრულებაში დამატებების შეტანა, მაგალითად, მშობლებთან გაფორმებულ ძველ ხელშეკრულებას დანართის სახით ერთვის შეთანხმება მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავება- გამოყენების თანხმობაზე, მაშინ როცა, აღნიშნული პირობამშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;
- მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი (დამტკიცებული ბრძანება №01-02/58, 29.08.2023წ.) წარმოდგენილი წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვას, მოსწავლის პარალელურ კლასში გადაყვანას, მოსწავლის სტატუსის შეჩერებასა და აღდგენას, მობილობის, კლასისა და საფეხურის დაძლევის წესს. მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობები შესულია ასევე სკოლის შინაგანაწესის 42-ე მუხლში. სკოლის საქმისმწარმოებელი აწარმოებს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვას სკოლის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში.

ინდიკატორი 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია

2. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. მაგალითად, მოსწავლის სტატუსის შეჩერებაზე მშობლის განცხადება და კლასის დამრიგებლის სამსახურებრივი ბარათი იტვირთება eflow-ში. მათი შინაარსის გათვალისწინებით დირექტორი გამოსცემს სამართლებრივ აქტს, რომელიც ასევე რეგისტრირდება eflow-ში და აისახება ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სასწავლო წლის დასრულებისთანავე, კლასის დამრიგებელი ელექტრონული ჟურნალიდან ამობეჭდილ შედეგებს

აწვდის პედაგოგიურ საბჭოს, რომელიც განიხილავს და წარუდგენს დირექციას საფეხურის დამღევის დასამტკიცებლად. შესაბამისად, სკოლის არსებული პრაქტიკა მიუთითებს, რომ ის იცავს წარმოდგენილი წესით განსაზღვრულ რეგულაციებს.

ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, დამრიგებელი არაუგვიანეს სასწავლო წლის დასაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში, მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. აღნიშნულის შესრულებისთვის მზაობა დასტურდება სკოლის ვებგვერდზე <https://salibauri2.edu.ge/> ასახული ინფორმაციით, რაც გვამცნობს, რომ 2023 წლის 28 სექტემბერს, სალიბაურის N2 საჯარო სკოლაში ჩატარდა მე-5 კლასის მოსწავლეთა მშობლების საერთო კრება. განიხილეს მოსწავლეთა შინაგანაწესი, მასწავლებლებმა ისაუბრეს მე-5 კლასში შემავალი ცალკეული საგნის კურიკულუმების შესახებ. დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების (კლუბების, წრეების) შესახებ ინფორმაცია მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის შინაგანაწესი ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე [In.run/sjxQV.](https://salibauri2.edu.ge/) სკოლა ვიზიტის ეტაპისთვის მოსწავლეებს არ სთავაზობდა დამატებით ფასიან საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში განთავსებულია სასკოლო ცხოვრების შესახებ ინფორმაცია. სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის /კომუნიკაციის წესის თანახმად, ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებში განსათავსებლად საჭირო ინფორმაცია ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირს, სკოლის საინფორმაციო მენეჯერს, მიეწოდება კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ; სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და განსაზღვრული ჰყავს მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. ასევე, დამრიგებლების საშუალებით მშობელს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი შვილისა და სკოლის სერვისების შესახებ. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, დამრიგებელი ვალდებულია მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების და ყოფაქცევის საკითხები ინდივიდუალური შეხვედრების დროს გააცნონ. სკოლის დერეფანში საჯაროდ გამოკრული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, არადისკრიმინაციული და გამჭვირვალე.

ინდიკატორი 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდი <https://bit.ly/3QRstZI>;
- სკოლის ვებგვერდი www.salibauri2.edu.ge
- ფეისბუქგვერდი <https://www.facebook.com/profile.php?id=100005723318433>

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2023 წლის 8 სექტემბრის №01-02/68 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“, რომელიც ითვალისწინებს პირველკლასელთა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, მობილობით გადმოსულ, საბაზო/საშუალო საფეხურის, მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმებს. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია მოსწავლის წარმატებული ადაპტაციის ნიშნები, რეკომენდაციები წარმატებული ადაპტაციისთვის, დეზადაპტაციის ნიშნები და დეზადაპტაციის პროცესის შემთხვევაში განსახორციელებელი ღონისძიებები. ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში (2023-2024) თავი „ინკლუზიური განათლება“, მოცემულია სსსმ მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები. აქედან გამომდინარე, სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები.

ინდიკატორი 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, მუხლი 8, მოიცავს მოსწავლეთა მიღების, სწავლის დაწყების პირველი დღის აღწერას. სკოლის ვებგვერდზე www.salibauri2.edu.ge განთავსებულია ინფორმაცია, რომელიც გვამცნობს, რომ 2023 წლის 13 სექტემბერს პირველი კლასის დამრიგებელმა უმასპინძლა მოსწავლეებსა და მის მშობლებს. ეს და სხვა, სკოლაში არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ სკოლა ნამდვილად უწყობს ხელს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან სწავლის დაწყების მომენტიდან.

ინდიკატორი 4.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია დამრიგებლის მოვალეობები, გააცნოს მოსწავლეს/მშობელს სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც გაწერილია აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მექანიზმები; მიაწოდოს მშობელს შვილის აკადემიური მიღწევების შესახებ ინფორმაცია მინიმუმ თვეში ერთხელ; მშობელის მოთხოვნის შესაბამისად გაარკვიოს შვილის ძლიერ და სუსტ მხარეებში, ყველა საგანთან მიმართებაში (დაუშვებელია ერთი მოსწავლის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების შესახებ მეორის მშობელთან თანდასწრებით საუბარი); თუ მოსწავლის მოსალოდნელი წლიური ნიშანი 5,0-ზე დაბალია, გააფრთხილოს მშობელი მოსწავლის მნიშვნელოვანი პროგრესის აუცილებლობის თაობაზე; გამოავლენოს კლასის საუკეთესო მოსწავლე (დებულების საფუძველზე) კვირის, სემესტრისა და წლის შესაბამისად; სასკოლო სასწავლო გეგმით, საჭიროებისამებრ, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით ინიშნება სემესტრული და საშემოდგომო გამოცდები. სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში. საჭიროებისამებრ, დაწყებით საფეხურზე შემუშავებულია რემედეციის პროგრამა; მშობელთა მოთხოვნის საფუძველზე მასწავლებელს ევალება დამატებითი მეცადინეობის ჩატარება, რითაც დაეხმარება მოსწავლეს იმ მინიმალური ბარიერიოს გადალახვაში, რომელიც მოეთხოვება მოსწავლეს საგნების მიხედვით.

ინდიკატორი 4.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სასკოლო სასწავლო გეგმისა და სკოლის „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის“ თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება წინასწარ აცნობს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს საჭირო და გასათვალისწინებელ ინფორმაციას კლასისა და საფეხურის დაძლევის შესახებ. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასაწყისშივე ხდება მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ; დამრიგებელი ვალდებულია შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს ინფორმაცია მისი შვილის აკადემიური მოსწრების, ქცევისა და გაცდენების შესახებ. წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმას თან ახლავს სადამრიგებლო პროგრამები, რომლის თანახმად, საბაზო -საშუალო საფეხურზე ერთერთ პირველ აქტივობად ყველა კლასში გათვალისწინებულია მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შედეგად მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია ფოიეში, თვალსაჩინო ადგილზე. ასევე, დამრიგებლების საშუალებით აცნობენ მოსწავლეებს შინაგანაწესით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს.

ინდიკატორი 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა წახალისების ფორმები. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია ინფორმაცია სკოლის მიერ დაგეგმილი საკლუბო და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ. ინფორმაცია თავსდება სკოლის ფეისბუქგვერდზე. წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, გაწერილია კლასის სადამრიგებლო პროგრამაში გასათვალისწინებელი სასკოლო პროექტები. ასევე, სასკოლო საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩამონათვალი. სასკოლო სასწავლო გეგმას დანართის სახით ახლავს სკოლაში შექმნილი ყველა კლუბისა და წრის სამოქმედო გეგმა. აღნიშნულ კლუბებსა და წრეებს ხელმძღვანელობენ, სკოლაში დასაქმებული, შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის სპეციალობის მასწავლებლები. სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივები. მაგალითის სახით წარმოდგენილია მოსწავლეთა თვითმმართველობის 2022 წლის 15 ოქტომბრის სხდომის ოქმი, რითაც დასტურდება, რომ 2022-2023 სასწავლო წელს, სკოლაში, მოსწავლეთა ინიციატივით დაიგეგმა და განხორციელდა პროექტი „ჯანსაღი ცხოვრების წესი“.

ინდიკატორი 4.2.1.5. დაკმაყოფილებულია

6. სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ გათვალისწინებულია მშობელთა, მოსწავლეთა/ დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის ჩატარება დამრიგებლების საშუალებით, რომლის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს საკუთარ მომსახურებას. სკოლაში მოსწავლეთა მოთხოვნის საფუძველზე შექმნილია სასკოლო კლუბები, განხორციელებულია სასკოლო პროექტები. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს მშობელთა მოსაზრებების გათვალისწინებას სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში.

ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი ბრძ. №01-02/68. 08/09/2023წ;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- შინაგანაწესი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი №1. 15/10/2022წ.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილ დამრიგებლის მოვალეობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის როლს მოსწავლის სწორ პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობაში. დამრიგებელი ვალდებულია დაეხმაროს მშობელს, რომ გახდეს სასწავლო პროცესის თანამონაწილე პროფესიული კურსის სწავლებისას. კლასის საათის თემატიკა უნდა მოიცავდეს მოსწავლეთა სწორი პროფესიული ორიენტაციის გეგმას. წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამების შესწავლის საფუძველზე, ცხადია, რომ გათვალისწინებულია საუბრების წარმართვა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. სკოლაში შექმნილი კლუბები და წრეები მოსწავლეებს ცალსახად ეხმარებათ სწორი პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბებაში.

სალიბაურის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა 2023 წლის 2-5 მაისს მონაწილეობა მიიღეს ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის მიერ ორგანიზებულ სამ დღიანი ბანაკის, „პროფესიული ორიენტაცია» ფარგლებში ჩატარებულ სხვადასხვა აქტივობებში. ტრენინგი გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში „პროფესიის არჩევის» შესახებ. მონაწილე ახალგაზრდები გაეცნენ ინფორმაციას სხვადასხვა პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული გამოწვევებისა და მნიშვნელობის შესახებ. მოსწავლეებს გადაეცათ სერთიფიკატები და ფასიანი საჩუქრები.

სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი კოლეჯ „ბლექსისთან“ რომლის წარმომადგენელი მოსწავლეებს უტარებს მეცადინეობებს ელექტრობაში, კურსის დასრულების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი.

ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. პროფესიის არჩევის ხელშეწყობის მიზნით სკოლას სტუმრობს სხვადასხვა სასწავლებლის წარმომადგენელი, რომლებიც პრეზენტაციის გზით დახმარებას უწევენ მოსწავლეებს მომავალი პროფესიის არჩევაში. სკოლაში მოწყობილია „აბიტურის კუთხე“ სადაც თავსდება ინფორმაცია პროფესიული და საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ. დაგეგმილია სკოლაში სხვადასხვა პროფესიის ადამიანების სტუმრობა და მათი გამოცდილების გაზიარება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. სკოლა, კრებებისა და სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების საშუალებით, აწვდის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/მეურვეებს ინფორმაციას მოსწავლეთა კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლაში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. სკოლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ეყრდნობა სხვადასხვა კოლეჯებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სანდო ინფორმაციას.

ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა მხარი დაუჭიროს მოსწავლეების მიერ ინიცირებული პროექტებს, შექმნას მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისი კლუბები. სკოლა ყოველწლიურად ახორციელებს კურსდამთავრებულთა კვლევას მათი უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ, ვინ რომელ სასწავლებელში ჩააბარა, რამდენ პროცენტთან დაფინანსება მოიპოვა, აღნიშნულ ინფორმაციას სკოლა აწვდის რესურსცენტრს, ხოლო მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. სასწავლო წლის ბოლოს სკოლის

კათედრები, მასწავლებლები, დამრიგებლები, კლუბებისა და წრეების ხელმძღვანელები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი წარმოადგენენ წლიურ ანგარიშებს, დგება სასკოლო სასწავლო გეგმისა და სამოქმედო გეგმების ანგარიშები, ხდება პრობლემების გამოკვეთა, პრობლემის გამომწვევი მიზეზების გაანალიზება და ახალი მიზნების დასახვა, რომელიც გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმისა და სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- რეფლექსია - ბანაკი პროფესიული ორიენტაცია;
- მემორანდუმი კოლეჯ „ბლექსი“სთან;
- ფოტო მასალა „აბიტურის კუთხე“;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისებით მიწოდების რეგულაცია. სადაც გაწერილია სსსმ მოსწავლის ტიპები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავისებურებანი და მნიშვნელობა, მასწავლებლის და მშობლის როლი ინკლუზიურ განათლებაში, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები, შინ სწავლების შემთხვევები და აღნიშნული პროცესებისთვის საჭირო ინსტრუმენტები. სკოლაში დამტკიცებულია ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია

2.სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული რეგულაციებიდან გამომდინარე, სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის დგება ისგ ჯგუფი, რომელიც შედგება შემდეგი წევრებისაგან- სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, რომლებიც

უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი და სსსმ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. ისე ჯგუფი იკრიბება, სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ. ისე ჯგუფის წევრები შეხვედრაზე განიხილავენ სსსმ მოსწავლის მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს, მის სასწავლო შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საჭიროებას, სწავლებაში ახალი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვის საჭიროებას და აუცილებელ რესურსებს. სკოლამ დანართის სახით წარმოადგინა სპეც მასწავლებლის რეფლექსია, საიდანაც დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთათვის ჯანსაღ ფსიქო-ემოციურ გარემოს. საგნის მასწავლებლების, კლასის დამრიგებლების ერთობლივი მუშაობით იგეგმება და ხორციელდება ნაბიჯები მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე.

ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- ისე სსსმ მოსწავლეებისთვის;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა;
- სპეც.მასწავლებლის რეფლექსია.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს კანონით მინიჭებული პანსიონის ფუნქციონირების უფლება და ჰყავს შესაბამისი პერსონალი, ამ ეტაპზე იგი მოსწავლეებს არ სთავაზობს საერთო საცხოვრებლისა და კვების ბლოკის მომსახურებას. პანსიონის ყოფილ აღსაზრდელებს და სხვა ბენეფიციარებს სკოლა სთავაზობს ტრანსპორტით მომსახურებას „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამით. პროცესი მიმდინარეობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის და სკოლის ჩართულობით. წარმოდგენილია სკოლის დირექტორის წერილები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის სახელზე მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის საჭირო მარშრუტის შესახებ. სხვა დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას, რომელიც მოითხოვს მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების ნებართვას, სკოლა ვიზიტის ეტაპისთვის არ ახორციელებდა.

ინდიკატორი 4.2.4.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება- ტრანსპორტით მომსახურება ხორციელდება „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამით. აღნიშნული სერვისი შეთავაზებულია სკოლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ყველა სხვა მოსწავლისთვის, რომელიც ითვლება აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარად, ცხოვრობს სკოლიდან 2 კილომეტრზე მეტი დაშორებით. დაცულია ნებაყოფლობითობის პრინციპი და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესი და პირობები. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს: კლუბები და წრეები. კლუბებსა და წრეებში მოსწავლეები ინტერესისა და სურვილის მიხედვით რეგისტრირდებიან. სადამრიგებლო პროგრამებში მოცემული საკითხებიდან ერთერთია „მოსწავლეთა თვითრეალიზაცია - კლუბებსა და წრეებში ნებაყოფლობითი გაწევრიანება“.

ინდიკატორი 4.2.4.2. დაკმაყოფილებულია

3. სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დაფინანსებით, რომელიც თავისმხრივ უზრუნველყოფს ტრანსპორტირების დროს კანონით გათვალისწინებულის ნორმების დაცვას. სკოლაში მოსწავლეთა კლუბების და წრეების ფუნქციონირებაზე, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებს, პასუხისმგებელია შესაბამისი კლუბის/წრის ხელმძღვანელი, სკოლის ტერიტორიაზე მათ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია სკოლის მანდატურის სამსახური.

ინდიკატორი 4.2.4.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- წერილები ხელვაჩაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს ტრანსპორტის მოტხოვნასა და მარშრუტის მიწოდებასთან დაკავშირებით;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა, დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. დოკუმენტში ჩაშლილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილებისა და კომპონენტების შესახებ ინფორმაცია. აღწერილია, თუ რა პრინციპებს ეფუძნება კურიკულუმის განვითარება. მასში წარმოდგენილი და განსაზღვრულია დოკუმენტის დამუშავებისას, რა ფუნქცია-მოვალეობები ეკისრება დირექციასა და პედაგოგებს. დოკუმენტში აღწერილია, რა ეტაპები მიმდინარეობს ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებამდე. კერძოდ, ანალიზდება წინა სასწავლო წელს განვლილი პროცესი, რომელშიც აქტიურად არის ჩართული მოსწავლე, მშობელი. დგინდება მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები, რომლებიც გათვალისწინებულია კურიკულუმების შედგენის დროს. კურიკულუმის შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს: სასწავლო პროცესი ეფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებსა და პოზიტიურ სასწავლო გარემოს. სასკოლო კურიკულუმი იქმნება წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე, გაითვალისწინებულია გასული სასწავლო წლის მიგნებები, გამოკვეთილი პრობლემები თუ საჭიროებები. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმების ფარგლებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები, რომელთაც საგნობრივი კათედრის მასწავლებლები გამოკვეთენ განვლილი სასწავლო პროცესების ანალიზის და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად ისინი მიმართავენ სხვადასხვა საშუალებას: კვლევას, მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, განმავითარებელ უკუკავშირს, ასევე მასწავლებელთა თვითრეფლექსიას. კურიკულუმები ძირითადად გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, ის ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, მათ შესაძლებლობებსა და ინტერესებს. უცხოური ენების არჩევისას მეხუთე კლასში მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია ხოლმე სამი მეორე უცხოური ენა: რუსული, გერმანული და ფრანგული. მშობლები არჩევენ აკეთებენ მოსწავლის ინტერესების შესაბამისად. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით დაწყებით საფეხურზე ინერგება და იხვეწება პროექტებით სწავლება. სამაგალითოდ წარმოდგენილია პროექტი „შავი ზღვის ბინადრები“ პროექტი ხორციელდებოდა სახელმწიფო ენის, საბუნებისმეტყველო და ესთეტიკური აღზრდის კათედრებთან ინტეგრირებით. აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. შემუშავებულია კომპლექსური დავალების ბარათები, რაც ასევე მიუთითებს იმას, რომ პროექტის განხორციელების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული

მშობლები. მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდა სსსმ მოსწავლეებისათვის რესურსების შერჩევა და დავალებების მოდიფიცირება. დავალებები რუსულ ენაში მოიაზრებს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების გააქტიურებას. კურიკულუმებში წარმოდგენილია იდეები/ძირითადი საკითხები როგორებიცაა, მაგალითად, წერილი თემაზე ჩემი პროფილი, სარეკლამო ბუკლეტი: „ჩემი ქალაქი“, მინი-სპექტაკლი (პოლილოგი) თემაზე „სასკოლო ნივთები“, ილუსტრირებული ტექსტი თემაზე „Собираем чемоданы и рюкзаки«. წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის მქონე ქმედებები მეტყველებს იმაზე, რომ სკოლა აცნობიერებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობას სასკოლო ცხოვრებაში და აპირებს მუშაობას ამ მიმართულებით და მათი ინტერესების გათვალისწინებას სამომავლოდ.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო კურიკულუმის განვითარების მიზნით სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის გადანაწილებულია ფუნქციები და პასუხისმგებლობები, რაც მოიაზრებს მათ ჩართულობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის მისი გადახედვა და დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრებისა და სკოლის დირექციის მუშაობა. საგნობრივი კათედრების წარმომადგენლები ჩართულები იყვნენ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესში, სკოლა იზიარებს რა თითოეული წევრის ჩართულობის მნიშვნელობას, გეგმავს ამ კუთხით მომავალშიც გააძლიეროს მუშაობა და გამოიყენოს კვლევის მრავალფეროვანი მეთოდოლოგია, რათა შესაძლებელი გახდეს მშობლების, მოსწავლეების შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლა/გამოკვეთა სასწავლო პროცესებთან მიმართებით, რათა უზრუნველყოს კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობა.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4.კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს კურიკულუმის შემუშავებაში და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას, განსაზღვრავს სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხების გამოყენებას: სკოლის ვებგვერდი; ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; პორტალი ვებგვერდზე; სოციალური მედია; ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ვიზიტის პერიოდში სასკოლო საზოგადოება გაცნობილი იყო სკოლის მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ სასკოლო კურიკულუმებს, რომელიც არის სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილი. კურიკულუმების ბმული, ასევე მითითებულია სკოლის ვებგვერდზე ln.run/sjxQV.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კათედრების კურიკულუმები;
- მშობელთა კრების ოქმი №1. 05/05/2022;
- ვებგვერდი <https://bit.ly/3QRstZl>.

2.1.2.1.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, რომლებშიც გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი - კომპლექსური დავალება. კურიკულუმების ჩარჩოები ძირითადად აგებულია მიწოდებული მატრიცებისა და კომპლექსური დავალებების ნიმუშების მიხედვით. დაწყებითი საფეხურის თემატურ ბლოკებში წარმოდგენილია ის შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს, ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და შეესაბამება ენობრივი ცოდნის დონეს. მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს. მაგალითად, დაწყებითი საფეხურის ქართული ენის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ითვალისწინებს ისეთი პროდუქტის შექმნას, როგორიცაა ესეები თემაზე „სამყარო ჩვენი საერთო სახლია“, რომლებშიც გააზრებულია პასუხისმგებლობა ფლორისა და ფაუნის, ზოგადად ბუნების მიმართ. მოსწავლეს მასწავლებლის მიერ საორიენტაციოდ წარდგენილი აქვს პირობები და რჩევები, რომელთა მიხედვითაც იგი შეძლებს

დამოუკიდებლად გაართვას თავი აღნიშნულ დავალებზე მუშაობას, მიწოდებული აქვს დამატებითი რესურსებიც, რაც ასევე ზრდის მისი ავტონომიურობის ხარისხს. ამავე დროს, დავალების პირობა ეფუძნება მათთვის ნაცნობ კონტექსტს. საბოლოო პროდუქტზე მუშაობისას მოსწავლე გამოიყენებს იმ ენობრივ საშუალებებს და მიმართავს ისეთ სამეტყველო ქმედებას, რომელიც საკომუნიკაციო უნარებს განავითარებს. აღნიშნული მიდგომა შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის მაგალითად.

სასურველია კურიკულუმის ჩარჩოში მათემატიკის და სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფისთვის ცალკეული თემის შესაბამისად უფრო მრავალფეროვანი, კონკრეტულ თემაზე მორგებული სასწავლო რესურსების გაწერა, როგორცაა დამხმარე სახელმძღვანელო, ელ რესურსები და სხვა. ეს საშუალებას მისცემს მასწავლებლებს სასწავლო პროცესი მეტად ორიენტირებული გახადონ თითოეულ მოსწავლეზე. ასევე, სკოლას მიეცა რჩევა, მე-4 კლასის სახელმწიფო ენის კურიკულუმის ჩარჩოში სრულად გაიწეროს ყველა სავალდებულო თემა.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებულია კომპლექსური ტიპის დავალებები, გაწერილია სამიზნე ცნებები, გრძელვადიანი მიზნები. შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. ყველა თემაში განსაზღვრულია სამიზნე ცნებების დამუშავება, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს განვითარებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს, როგორცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას მწირი ტექნიკა აქვთ და ასევე ინტერნეტიც ხარვეზებით მიეწოდებათ, მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ისინი ხშირად სთავაზობს მოსწავლეებს დავალებას, რომელიც ორიენტირებულია თანამშრომლობითი უნარების განვითარებასა და საერთო მიზანზე. მასწავლებლები წინასწარ ამზადებენ ინტერნეტით მოპოვებულ მასალას, უტვირთავენ ბუკებში და მოსწავლეებს აძლევენ ისეთი ტიპის დავალებას, სადაც პროდუქტია შესაქმნელი; ელ-წიგნი, პრეზენტაცია, ბუკლეტი, პროექტი. ეს კი მათ შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში ეხმარება და აძლევს საშუალებას იაზროვნონ თავისუფლად, შეზღუდვების გარეშე. აღსანიშნავია, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩოებში სრულად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული საბუნებისმეტყველო საგნების სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. სწორადაა შერჩეული მიზნების შესაბამისი საკითხები. ყველა თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენა. კომპლექსური დავალების პირობები შერჩეულია ისე, რომ მოსწავლეებს უვითარებს ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3. საგნობრივ კურიკულუმებში თითოეული თემის ფარგლებში გაწერილია მრავალფეროვანი რესურსები, მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა შეარჩიოს საბოლოო პროდუქტი ფორმისა თუ შინაარსის მიხედვით. დეტალურად არის აღწერილი საგანთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობები, საჭიროებები, ინდივიდუალური სასწავლო მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები, რაც უზრუნველყოფს

ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ასევე სკოლის მიერ მოწოდებული სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმვისას მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს ითვალისწინებენ. სკოლაში შექმნილია მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები სსსმ მოსწავლისათვის. უცხო ენების კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს იქნა განხილული დავალების დიფერენცირების გზები. აღინიშნა, რომ უცხოური ენის მასწავლებლები შეისწავლიან მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებს, შესაძლებლობებს და ყოველივე ამის გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს, იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს. ასევე კათედრის მიერ წარმოდგენილ მიმდინარე სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია აქტივობები, რომლებიც ითვალისწინებს დიფერენცირებული სწავლების სხვადასხვა მეთოდების/მიდგომების დანერგვას. საბუნებისმეტყველო კათედრაზე სასწავლო პროცესი სრულად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. აღნიშნული მიდგომები ასახულია კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში. სსსმ მოსწავლეებისთვის სკოლას აქვს შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და ორიენტირებულია კონკრეტული უნარების განვითარებაზე. გეგმის განხორციელების პროცესში ფასდება მოსწავლის აკადემიური მიღწევებიც. კურიკულუმებში ისეთი კომპლექსური დავალებები და რესურსია შერჩეული, რომლებიც სასწავლო პროცესის მრავალფეროვნად წარმართვას გულისხმობს. სასწავლო მიზნები იმგვარადაა გაწერილი, რომ შესაძლებელი ჩანს მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა არჩევანის გაკეთება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობის დროს ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4.წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ დაწყებითი კათედრის პედაგოგებს შემუშავებული აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები (გასავლელი ბარათი, ვარაუდების სქემა, სადიაგნოსტიკო ტესტი) არის წინაპირობა მოსწავლეთა ჰოლისტიური განვითარებისა, რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. მტკიცებულებად წარმოდგენილია მე-4 კლასში ჩატარებული სადიაგნოსტიკო ტესტირება და მისი ანალიზი. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე წარმოდგენილი შემაჯამებელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იძლევა ობიექტური, ვალიდური და სანდო შეფასების საშუალებას, უზრუნველყოფილია შეფასების გამჭვირვალობა. სასკოლო პრაქტიკაში იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან, აქტივობებზე მორგებულ რუბრიკებსა და ინსტრუმენტებს (ურთიერთ შეფასება, თვითშეფასება, გასასვლელი და შესასვლელი ბარათები, დიაგნოსტიკური სქემები, სოლო ტაქსონომია). შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასება მიემართება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს;

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5.ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. განიხილება სასკოლო კურიკულუმებისა და თემატური მატრიცების შემუშავების საკითხი და მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტიკის საფუძველზე სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესი. მნიშვნელოვანია პარალელური კლასების გამოცდილების გაზიარებაც, რაც გამოჩნდა თვითშეფასებაში და პედაგოგებთან ინტერვიუების პროცესში. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის სხდომის ოქმში ერთ-ერთ საკითხად გატანილია განხორციელებული კურიკულუმების ანალიზი, რომელიც სასკოლო საზოგადოების ჩრთულობით განხორციელდება და გამოიკვეთება სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები. შედეგების ანალიზის საფუძველზე დაიგეგმება შემდეგი პროცესები, რაც საბოლოოდ მიზნად ისახავს არსებულ სტანდარტებთან სკოლის შესაბამისობის მიღწევას.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით, კათედრის სხდომის ოქმითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- კათედრების ოქმი
- კათედრების წლიური ანგარიშები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები და კონტექსტ მაგალითები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. შერჩეული კომპლექსური დავალებები იძლევა შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესში განხორციელდეს ისეთი აქტივობები, რომლებშიც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი აიდეინტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით, იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. მოსწავლე ქმნის კომპლექსური დავალების პროდუქტს. მოსწავლის მოტივაციისა და სწავლის პროცესის ეფექტიანობისათვის შერჩეულია თანამშრომლობით სწავლის ფორმები: ჯგუფური და წყვილებში მუშაობა. მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს მუდმივად ინტერქციაში იყოს თანატოლთან, გასცეს და მიიღოს დაუყოვნებლივი უკუკავშირი, გაიზიაროს პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგზე. სასკოლო პროექტი განხორციელებულია ისეთ პრიორიტეტულ თემებზე, როგორებიცაა: გარემოს დაცვა, სკოლის პრიორიტეტი ჯანსაღი ცხოვრების წესია. მდგრადი განვითარების მიზნების დანერგვის ხელშეწყობა ქმნის შესაძლებლობას, თანამშრომლობითი გზით ყველა ასაკის და საჭიროების მოსწავლე თანაბრად იყოს ჩართული სხვადასხვა აქტივობებში, შერჩეული აქტივობები კი ქმნის მოსწავლის მაღალი ჩართულობის წინაპირობას, იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, იქმნება პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი, რაც ხელისშემწყობია მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის. დაწყებითი საფეხურის სასწავლო სივრცის დათვალიერებით დგინდება, რომ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ჩართული არიან არაფორმალურ აქტივობებში, მათი ნამუშევრები გამოფენილია სასკოლო სივრცეში, რაც, ცხადია, ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, უზრუნველყოფს სკოლაში პოზიტიური სასკოლო კულტურისა და საკლასო კლიმატის ჩამოყალიბებას, მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას. გამორჩეული მტკიცებულებაა გრძელვადიანი პროექტი „ჩვენი ეზო“, რომლის ფარგლებში მოსწავლეები ზრუნავენ სკოლის ეზოში წარმოდგენილი ფლორის მივლა -პატრონობაზე.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი ითვალისწინებს თემატურ დაგეგმვას, მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტსა და შედარების მაგალითებს, რომლებიც დაეხმარება მას ახალი მასალის ძველთან დაკავშირებაში. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები ისეა

ფორმულირებული, რომ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს ნაცნობი პრობლემების გადაჭრა და საინტერესო პროდუქტის შექმნა, რაც მას ცოდნის კონსტრუირებაში ეხმარება. კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ამასთან, გასაუბრებიდან გამომდინარე, მასწავლებლები იაზრებენ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის კონსტრუირების მნიშვნელობას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, ასევე კონტექსტ და შედარების მაგალითები და რესურსები, რომლებზე მუშაობაც მოითხოვს სწავლის სტრატეგიების ცოდნას და დაუფლებას, მაგალითად, საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში, სასკოლო პროექტში ჩანს, რომ პროცესი ისეა დაგეგმილი მასწავლებლის მიერ, რომ მოსწავლემ განსაზღვროს დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულება, როგორ შეასრულოს დავალება, როგორ მოახდინოს სწავლის პროცესის მონიტორინგი და სწავლის პროცესის დროს თავისი ქცევის სოციო-ემოციური მართვა. კომპლექსური დავალება მოიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. ძალიან მნიშვნელოვანია სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური ბუნების დავალებებზე დართული მეტაკოგნიტური შეკითხვები მოსწავლის თვითშეფასების უნარის გასაუმჯობესებლად და წინსვლის ხელშესაწყობად. მაგალითად, ასეთი შეკითხვებია: რა ნაბიჯები გადადგი დავალების შესრულებისას? რომელი სტრატეგიები გამოიყენე? რა გამოგვიდა კარგად? რა გაგიძნელდა და რატომ? რას შეცვლიდი, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? და სხვა. ამ თვალსაზრისით ასევე ძალიან მნიშვნელოვანია კომპლექსურ დავალებებზე დართული თვითშეფასების სქემები. პედაგოგები მიზანმიმართულად იყენებენ სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგიას; მოსწავლეებს ასწავლიან ძირითად მასალაზე ხაზგასმას, მთლიანი მასალის დანაწევრებას და დანაწევრებული მასალის ათვისებას. ხოლო ემოციური კომპონენტის გასავითარებლად ეხმარებიან მოსწავლეებს ისწავლონ შეცდომის დანახვა და გამოსწორება. სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტების დასმა მასწავლებელთა პრაქტიკის ბუნებრივი ნაწილია, რაც სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ხშირად სთხოვენ ახალი მასალის შეჯამებას, ასევე სასწავლო პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლები იაზრებენ სწავლის სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობას სასწავლო პროცესში.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის, კომპლექსური დავალებების პირობების, შეფასების რუბრიკების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. შემუშავებული დაწყებითი საფეხურის კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. არჩეულია კომპლექსური დავალებების განხორციელება ხელს შეუწყობს დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში პროცედურული ცოდნის გავლით. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში. მაგალითად, „სამყარო ჩემი სახლია“, პროექტი „ჩვენი ეზო“. მრავალფეროვნებით გამირჩევა საგან ჩვენ საქართველოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს სიღრმისეულად გაიაზრონ საქართველოს კუთხეთა მრავალფეროვნება და თავისებურებები. ამგვარი დავალებები განაპირობებს როგორც დეკლარატიული, ასე პროცედურული და პირობისეული ცოდნის რეალიზებას.

ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმიდან ჩანს, რომ თემის ფარგლებში გაწერილია კონტექსტ მაგალითები, შედარების მაგალითები და კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები, სკოლის მიერ წარმოდგენილი პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე კლასების კურიკულუმების ჩარჩოებში ასახულია სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ცოდნის ინტეგრირებისათვის გამოიყენება არაფორმალური პროექტული და პრობლემაზე დაფუძნებული აქტივობები. კომპლექსური დავალება ემსახურება ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების პროცესს. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს იმას, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ცოდნათა ორგანიზება. დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუმ და დაწყებითი კათედრის წლიურმა ანგარიშმა აჩვენა, რომ დაწყებით საფეხურზე სკოლას აქვს გამოცდილება საგანთა შორის გაკვეთილების ინტეგრირებისა (ბუნების, ხელოვნებისა და ქართულის საგნებს შორის).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- კათედრების წლიური ანგარიში
- შეფასების რუბრიკები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში სავალდებულო თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ, საგნის კონტექსტში მუშავდება კონკრეტული სამიზნე ცნება/ცნებები. „კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ თანახმად სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები, რომლებიც დაგეგმილი პროცესის ნაწილია, ვინაიდან მკვიდრი წარმოდგენები შემოსაზღვრავს ცნების არეალს, სწორედ მისგან გადმოთარგმნილი შეფასების კრიტერიუმები აქვს ჩაშლილი დავალების პირობას, რომელიც კარნახობს მოსწავლეს, რა მიმართულებით უნდა შესრულდეს კომპლექსური დავალება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და პედაგოგებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება სასწავლო პროცესში უზრუნველყოს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მასწავლებლებმა აღწერეს საფეხურზე განხორციელებული ერთი კომპლექსური დავალება „რეგიონების მიხედვით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის მონაცემების შეგროვება და დამუშავება“ და დეტალურად ისაუბრეს მათი გამოცდილების შესახებ, როგორ აკავშირებენ სწავლა-სწავლების პროცესში სამიზნე ცნებას, მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) და საკვანძო შეკითხვებს. მაგალითად, მათემატიკაში კომპლექსური დავალების განხორციელებისას უწევს რეალური სიტუაციის მათემატიკური მოდელის შექმნა, საჭირო ფორმულების გამოყენება, გამოთვლების შესრულება, მსჯელობა, ანალიზი და დასაბუთება, რაც სამივე სამიზნე ცნების მოდელირება, კანონზომიერება და ლოგიკა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში ეხმარება. სკოლის მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გამომდინარეობს ცნებების მიხედვით თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებიდან, ხოლო განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და დეტალურად აღწერს, თუ რა მოლოდინები შეიძლება ჰქონდეს მასწავლებელს მოსწავლისგან შესასწავლი საკითხსა და ქვესაკითხებთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი ითვალისწინებს კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულებას, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეს უწევს პასუხისმგებლობის აღება გარკვეულ საკითხებზე, დავალების მომზადებისას ურთიერთობა თანატოლებთან, მშობლებთან. დავალების წარდგენისას მოსწავლე ფიქრობს საკუთარ ემოციებზე, ღირებულებებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა. წარმოდგენილ დოკუმენტში ჩაშენებული გასავლელი ბარათები და ვარაუდების სქემა, მოსწავლის

თვითშეფასების რუბრიკები დაეხმარება მოსწავლეს პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური პროცესისა, რაც იკვეთება ასევე წარმოდგენილ უკვე განხორციელებულ კომპლექსური დავალების გეგმაში, სადაც პირობაში ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, რომლის საშუალებითაც მასწავლებელი აფასებს თითოეული მოსწავლის მიერ შექმნილ კომპლექსური დავალების პროდუქტს სამიზნე ცნების თითოეული მკვიდრი წარმოდგენის შესაბამისად. შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს და გამომდინარეობს მათგან. ასეთი შეფასება ეხმარება მოსწავლეებს განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები მიემართება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ცნებების მიხედვით და ითვალისწინებს მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებას. სკოლას კომპლექსური დავალების შეფასებისთვის, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით წარმოდგენილი აქვს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდოლოგიური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა იაზრებს მოსწავლეთა შეფასების მნიშვნელობას მათი მხარდაჭერისა და განვითარებისათვის.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4. მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად კათედრები იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, 1-4 კლასებისა და მე-5 კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით ძირითადად განმავითარებელი შეფასებები არის ზეპირი კომენტარის სახით, წლის ბოლოს განმავითარებელი შემაჯამებელი შეფასებით. მეხუთე კასია მეორე სემესტრიდან და მეექვსე კლასებში გამოიყენება როგორც განმავითარებელი - ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების თითოეულ კრიტერიუმს აქვს მინიჭებული ქულა, შესაბამისად, მოსწავლემ იცის ზუსტად რა კრიტერიუმის მიხედვით რამდენ ქულას იმსახურებს. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ თანამშრომლობით შექმნეს სტანდარტზე დაყრდნობილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ერთობლივი მუშაობას კი შეცდომები მინიმუმამდე დაჰყავს, რაც საგნის შეფასებათა რუბრიკებშიც ჩანს. მოსწავლეთა შეფასება მიემართება ცნების მკვიდრ წარმოდგენებსა და საგნობრივი სტანდარტის შედეგებს. სწორად არის შერჩეული შეფასების აღმწერი კრიტერიუმებში, რაც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას. შეფასების კრიტერიუმების მოსწავლეებისა და მშობლებისათვის წინასწარ გაცნობა ხელს უწყობს შეფასების გამჭვირვალობას, პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების სამართლიანობას, ობიექტურობას და სანდოობას.

სკოლის შეფასების სისტემისა და შეფასების რუბრიკების გაცნობით, მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5.სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით აქვს წარმოდგენილი სკოლის დირექტორის 2023 წლის 31 აგვისტოს №01-02/59 ბრძანებით დამტკიცებული „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი“, რომელიც გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებებისა და ზოგადად, შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის თანახმად, ვერიფიკაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. გაწერილია ვერიფიკაციის პროცედურა. დოკუმენტს თან ახლავს ვერიფიკაციის ინსტრუმენტი.

ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია

6.სკოლაში არსებული მოსწავლის პირადი საქმეები, რომლებშიც შეტანილია წლიური შეფასებები, შესაბამისი ცნობები და პირადი ინფორმაცია საქმისწარმოების წესის შესაბამისად ინახება საქმის მწარმოებელთან. დირექტორის სამართლებრივ - ადმინისტრაციული ბრძანებით განსაზღვრულია ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემის/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კათედრების პორტფოლიოებში. სკოლის საქმისწარმოების წესი, მუხლი 12-ის თანახმად სკოლაში ნაწარმოები ყველა დოკუმენტი 5 წლის განმავლობაში ინახება სკოლის კანცელარიაში.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები
- კათედრების ოქმები
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგი
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები
- სკოლის საქმისწარმოების წესი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმდებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც მოსწავლეზეა ორიენტირებული. სკოლაში სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი საკითხები. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მხარდამჭერ და მიმღებლობით სასწავლო გარემოს. კურიკულუმზე მუშაობისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, უნარები, ასევე მშობელთა ინტერესები. გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას რომ იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა , იგეგმება და ხორციელდება საკლასო და სასკოლო ღონისძიებები, არაფორმალური განათლება მოსწავლეს უზენს ნდობის, დაცულობის, მიმღებლობის განცდას. ამას ადასტურებს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული თანამშრომლობა. მასწავლებლებს შორის ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, რჩევების მიცემა და გამოცდილების გაზიარება. პედაგოგების მიერ კოლეგების მიმართ გაცემული უკუკავშირი ძირითადად პროგრესსა და განვითარებაზეა ორიენტირებული. სკოლაში მოქმედებს ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ორიენტირებულია სწავლა-სწავლების პროცესზე და პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნაზე. ასევე შემუშავებული აქვთ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის, შეფასების რუბრიკების, მასწავლებელთა რეფლექსიებისა და გაკვეთილზე დაკვირვების ფორმების გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე. აღნიშნული კი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას.

ინდიკატორი 2.2.3.1.დაკმაყოფილებულია

2.სასწავლო პროცესი წარმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. სკოლაში მოსწავლე თავად არის საკუთარი სწავლის პროცესის წარმართველი, რადგან, ხშირ შემთხვევაში, მიმდინარეობს კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლება და ხდება მოსწავლეთა ფუნქციურ-კომპონენტური უნარების პროგრესის შეფასება(სკოლას საგნებში აქვს კონტექსტმაგალითზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სასწავლო პროცესში ხდება მოსწავლის ცოდნის დონის აღწერა განმავითარებელი კომენტარით, ზეპირსიტყვიერად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა სწავლება მიმდინარეობს დიფერენცირებული მიდგომებით. მოტივაციის, ჩართულობისა და ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებისთვის მოსწავლეები ჩართულები არიან სხვადასხვა სასწავლო პროექტებში ინტერესების, საჭიროებების და შესაძლებლობების შესაბამისად. სკოლაში ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეებზეა ორიენტირებული.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების, სადამრიგებლო პროგრამისა და მოსწავლეთა ნამუშევრების გაცნობით დასტურდება, რომ სკოლაში სასწავლო წარმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

ინდიკატორი 2.2.3.2.დაკმაყოფილებულია

3.საგნობრივი კათედრების შეხვედრებზე მასწავლებლები ერთობლივად შეიმუშავენ კურიკულუმებს, შეფასების რუბრიკებს, აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს. სხვადასხვა საგნობრივ კათედრებზე და კათედრებს შორის ხდება შეხვედრები მოსწავლეთა ცოდნის დონის,

სასწავლო პროცესში წარმოქმნილი პრობლემების და გამოცდილების გაზიარების მიზნით. სასკოლო საზოგადოებაში, ხშირ შემთხვევაში, დამკვიდრებულია თანამშრომლობა და გუნდურობა, რაც სასწავლო პროცესს ეფექტურს ხდის. პირადმა ინტერვიუებმა დაადასტურა ის, რომ ზოგიერთი კათედრის პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, აქვთ მუდმივი კომუნიკაცია, განიხილავენ სასწავლო პროცესს, შეფასებებს, კომპლექსურ დავალებებს და სხვა.

დაწყებითი კათედრის შეხვედრის ოქმების, გაკვეთილზე დაკვირვების ფორმების გაცნობით, მასწავლებლებთან გასაუბრებითა და ვიზიტის დროს პერსონალის საქმიანობაზე დაკვირვებით დასტურდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია

4. მეთოდოლოგიის შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. სასკოლო საზოგადოებაში განვითარებულია სასკოლო თანამშრომლობითი კულტურა: სკოლაში ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი, კლუბის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ავითარებს თანატოლების თანამშრომლობას და წახალისებს ურთიერთსწავლებას. სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთა კითხვარი, რომლითაც იკვლევს მშობლების ინფორმირებულობისა და კმაყოფილების ხარისხს. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხარდაჭერა. წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. სკოლა ცდილობს პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას როგორც სასკოლო, ისე საკლასო დონეზე. ამას ხელს უწყობს როგორც სკოლის შინაგანაწესი, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაც. სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი სადამრიგებლო პროგრამით განსაზღვრული თემები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა შორის მეგობრული და ტოლერანტული გარემოს შექმნას. სადამრიგებლო საათები ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ-პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს.

კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგიის, სადამრიგებლო პროგრამების, სკოლის შინაგანაწესის და სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობა გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური კლიმატის შექმნას სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორი 2.2.3.4 . დაკმაყოფილებულია

სკოლას არ აქვს საჭირო რაოდენობის კომპიუტერები კომპიუტერულ ლაბორატორიაში, რაც ხელს უშლის კურიკულუმის განხორციელებას დაწყებით საფეხურზე.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. წარმოდგენილი გეგმის მიხედვით სკოლა კომპიუტერული ლაბორატორიის აღჭურვას შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერებით უზრუნველყოფს 3 თვის (16.11.2023 – 01.02.2024) პერიოდში. სკოლამ დამატებით წარმოადგინა ხელვაჩაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის წერილი, რომ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ 2023 წელს სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის #2 საჯარო სკოლისთვის გადასაცემად შესყიდულ იქნა სხვადასხვა სახის კომპიუტერული ტექნიკა, კერძოდ: 47 ლეპტოპი, 2 პრინტერი და 6 პროექტორი, რომლებიც სკოლას გადაეცემოდა კონტრაქტორი კომპანიის მიერ მოწოდებისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული კომპონენტის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა მეტწილ შესაბამისობაში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში, უზრუნველყოს კომპიუტერული ლაბორატორიის აღჭურვა შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურს კურიკულუმი
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სკოლის შინაგანაწესი
- სადამრიგებლო პროგრამა
- კათედრის შეხვედრის ოქმი
- დამრიგებლის სამუშაო ჟურნალი
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოს შეიმუშავა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის თანახმად, კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტიკა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება.

ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად ამ ეტაპზე ვერ განხორციელდებოდა. შესაბამისად, ინდიკატორი ვერ ფასდება.

2. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში იკვეთება სკოლის მზაობა, რომ მონიტორინგის და შეფასების შედეგები მოემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტიკა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად, სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება და სკოლის ინსტიტუციური განვითარება. წარმოდგენილია მასწავლებლების გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების დამადასტურებელი ფორმები, სადაც აღწერილია გაკვეთილების ძლიერი და სუსტი მხარეები, უკუკავშირი და რეკომენდაციები.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკავშირებულია

3. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესი წარიმართება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზით მოახდინოს პრობლემების გამოვლენა და მათ გადაჭრის გზების ძიება. სასურველია, კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, რა ინსტრუმენტებს გამოიყენებენ? ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს/შეფასებას? კრიტერიუმები/ინდიკატორები, რომლითაც მოხდება შეფასება და გაეცემა პასუხი კითხვას-რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს?

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკავშირებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორც მეთოდოლოგიის დოკუმენტში არის აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება ხდება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისაგან: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტიკა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში, ასევე ინფორმაცია გროვდება პედაგოგებზე დაკვირვების გზით მათი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, მიმდინარეობს სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა თანამშრომლობითი პროცესების გაღრმავების მიზნით. შეფასების პროცესში ჩართულია სკოლის კათედრები, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, კათედრის წევრები მხარს უჭერენ და ახორციელებენ ჰოლისტურ მიდგომებს.

სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, კერძოდ: როგორც კომპლექსურ დავალებებს, ასევე შემაჯამებელ სამუშაოებს. აღნიშნული დავალებების შეფასება ხორციელდება წინასწარ შეთანხმებული ინსტრუმენტებითა და გაწერილი რუბრიკების მიხედვით.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სასკოლო კურიკულუმის შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით. როგორც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში არის აღნიშნული, დოკუმენტის განვითარების პროცესში მრავალი მხარე არის ჩართული: მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, დირექცია.

გასაუბრების დროს გაირკვევა, რომ მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას განავითარონ შეფასების რუბრიკები. კათედრის წევრებთან გასაუბრების შემდეგ და წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების და შეფასების რუბრიკების, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლაში შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ინფორმაციის შეგროვების მიზნით გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი: დაკვირვება, დიაგნოსტიკა ხდება მიღებული შედეგების ანალიზი. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, ბეჭდვითი სიტყვა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. მასწავლებლები ცდლობენ გაიგონ მოსწავლეების, მშობლების და მასწავლებლების აზრი სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. ამისთვის იყენებენ გამოკითხვას, ინტერვიუს, დაკვირვებას, ფოკუს ჯგუფებს . შეფასების პროცესში ჩართული არიან მოსწავლეებიც.

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში: „ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“- ასახულია რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მოსწავლეთა შეფასების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კურიკულუმის განვითარების მიზნით. კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი განხორციელდება სადიაგნოსტიკო შეფასებითა და მოსწავლის სწავლის პროცესზე დაკვირვებით.

ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმის შემუსავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი დეტალურადაა წარმოდგენილი წარმოდგენილ დოკუმენტში - “კურიკულუმის მეთოდოლოგია”. მასში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება განხორციელდება მთელი წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. პედაგოგებისა და სკოლის წარმომადგენელთა განცხადებით, სკოლა კურიკულუმის განვითარების მიზნით მომავალი სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების წარმოებას. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში სადაც კითხულობთ: მონაცემების შეგროვების საფუძველზე სკოლა ქმნის: რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაზღვრულად. რეკომენდაციები უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის.

აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზიდან და გასაუბრებიდან გამომდინარე ექსპერტთა შეფასებით სკოლა კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტის მიხედვით განხორციელებს მის განვითარებას.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია

2 კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. კურიკულუმის რევიზია დაეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის

გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება. შესაბამისად სკოლა კურიკულუმის გადამუშავების პროცესში დაეფუძნება წინარე გამიცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება



ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა, დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. დოკუმენტში ჩაშლილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილებისა და კომპონენტების შესახებ ინფორმაცია. აღწერილია, თუ რა პრინციპებს ეფუძნება კურიკულუმის განვითარება. მასში წარმოდგენილი და განსაზღვრულია დოკუმენტის დამუშავებისას, რა ფუნქციამოვალეობები ეკისრება დირექციასა და პედაგოგებს. დოკუმენტში აღწერილია, რა ეტაპები მიმდინარეობს ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებამდე. კერძოდ, ანალიზდება წინა სასწავლო წელს განვლილი პროცესი, რომელშიც აქტიურად არის ჩართული მოსწავლე, მშობელი. დგინდება მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები, რომლებიც გათვალისწინებულია კურიკულუმების შედგენის დროს. კურიკულუმის შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს: სასწავლო პროცესი ეფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებსა და პოზიტიურ სასწავლო გარემოს. სასკოლო კურიკულუმი იქმნება წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე, გაითვალისწინებულია გასული სასწავლო წლის მიგნებები, გამოკვეთილი პრობლემები თუ საჭიროებები. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. მეთოდოლოგიაში გაწერილია, როგორ ცდილობს სკოლა სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასახვას კურიკულუმში. შემოთავაზებულია მექანიზმები მშობელთათვის, წინარე გამოცდილების ანალიზით ხდება შემდეგი სასწავლო წლის დაგეგმვა და შესაბამისად მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებაც. კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი ექვემდებარება კათედრის წევრების მხრიდან გარკვეული სახის რევიზიას და ჩასწორებას. უნდა აღინიშნოს, რომ შემუშავების პროცესში აქტიურად იყო ჩართული

კათედრები. გაზიარებული იყო თითოეული მასწავლებლის მოსაზრება, გამოთქმული შენიშვნა, რომელიც სასწავლო პროცესში გროვდებოდა. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირი გაეცნო კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტს, რომელში ასახულია სასკოლო საზოგადოების რჩევები და იდეები, მაქსიმალურადაა გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების მოსაზრებები.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო კურიკულუმის განვითარების მიზნით, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის გადანაწილებულია ფუნქციები და პასუხისმგებლობები, რაც ასევე მოიაზრებდა მათ ჩართულობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმი იქმნება და ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღოდა წინა წლის დოკუმენტის გადახედვა და დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრებისა და სკოლის დირექციის მუშაობა. საგნობრივი კათედრების წარმომადგენლები ჩართული იყვნენ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესში, სკოლა იზიარებს რა თითოეული წევრის ჩართულობის მნიშვნელობას, გეგმავს დახვეწოს მუშაობა და გამოიყენოს ანკეტირება/გამოკითხვა და სხვა საშუალებები, რათა სრულად უზრუნველყოს მშობლების, მოსწავლეების შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლა/გამოკვეთა სასწავლო პროცესებთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4.კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს კურიკულუმის შემუშავებაში და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას, განსაზღვრავს სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხების გამოყენებას: სკოლის ვებგვერდი; ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; პორტალი ვებგვერდზე; სოციალური მედია; ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ვიზიტის პერიოდში სასკოლო საზოგადოება გაცნობილი იყო სკოლის მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ სასკოლო კურიკულუმებს, რომელიც არის სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილი. კურიკულუმების ბმული, ასევე მითითებულია სკოლის ვებგვერდზე <https://bit.ly/3QRstZI>.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის ვებგვერდი <https://bit.ly/3QRstZI>

2.2.1. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე ბუნებისმეტყველების ფარგლებში წარმოდგენილია 2023-2024 სასწავლო წლისთვის კურიკულუმები, რომლებშიც შერჩეული საკითხების საშუალებით თითოეულ თემაში დამუშავებულია ყველა სამიზნე ცნება, გრძელვადიანი მიზანი. კათედრის სხდომებზე განიხილეს საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები, რომელთა სრულყოფა დასრულდა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. სკოლაში ფუნქციონირებს: დებატკლუბი „თემიდა“, მკითხველთა კლუბი „სწავლულნი“, ინტელექტკლუბი „ლამპარი“ (სახელმწიფო ენის კათედრა), სამოქალაქო განათლების კლუბი „იუსტიცია“ (საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა), ეკოკლუბი (საბუნებისმეტყველო საგნების კათედრა). წარმოდგენილია განხორციელებული აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნულ და სოციო-ემოციურ განვითარებას, ზრდის მოტივაციას და ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტში მოსწავლეთა აქტიური და თანასწორი ჩართულობის საშუალებას იძლევა. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიასთან, ორგანიზაცია „დემოკრატიულ ლაბორატორიასთან“ და მათი თანამონაწილეობით გეგმავენ და ახორციელებენ სასკოლო პროექტებსა და აქტივობებს. განხორციელდა პროექტები: „ჩემი კუთხის მარგალიტები“, „არასრულწლოვანთა დანაშაული“, „მე და კონსტიტუცია“ და სხვ. სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მიერ გაიმართა მოსწავლეთა კონფერენცია. სკოლაში ხორციელდება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით. ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე კომპლექსური

დავალებების განხორციელების კუთხით და გააკეთეს ზუსტი აქცენტები კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოების და ასევე ინტერვიუსას გაცემული პასუხებით, უცხოური ენის კათედრა გვიქმნის წარმოდგენას, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე. ისეთი დავალებების საშუალებით, როგორიცაა, მაგალითად: პრეზენტაცია თემაზე „ ჩემი ქვეყნისა და უცხო ქვეყნის ეროვნული სპორტის სახეობები“, პოსტერი თემაზე Школа моей мечты, მეგობრული წერილი თემაზე «Экскурсия по городу» (მეშვიდე კლასი, ინგლისური, რუსული) , მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, კეთებისა და კვლევის პროცესში თავად მოახდინონ სწავლის კონსტრუირება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგებიდან ჩანს, რომ კათედრას აქვს საკმარისი მზაობა, გამოცდილება და ხედვა. სასურველია კურიკულუმის ჩარჩოში მათემატიკის საგნობრივი ჯგუფისთვის ცალკეული თემის შესაბამისად უფრო მრავალფეროვანი, კონკრეტულ თემაზე მორგებული სასწავლო რესურსების გაწერა, როგორიცაა დამხმარე სახელმძღვანელო, ელ რესურსები და სხვა. ეს საშუალებას მისცემს მასწავლებლებს სასწავლო პროცესი მეტად ორიენტირებული გახადოთ თითოეულ მოსწავლეზე. სახელმწიფო ენის რამოდენიმე კურიკულუმებში გამორჩენილია კომპლექსური დავალების პირობა. სასურველია საგნობრივი კურიკულუმის გადახედვა და პირობის გაწერა ყველა კომპლექსური დავალებისთვის.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ 2023-2024 სასწავლო წლისათვის წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმების ჩარჩოში თითოეული კლასისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები, მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა იმისათვის, რომ დაგეგმონ და განახორციელონ პროცესი, რომელიც მიმართული იქნება მოსწავლის გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში მკაფიოააა განსაზღვრული, რომ მთავარი ორიენტირი სკოლისთვის არის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნები (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). საზოგადოებრივ მეცნიერებათა და სახელმწიფო ენის კათედრის წარმატებული მუშაობა იძლევა სტიმულს და ახალი სასწავლო წლიდან სხვა კათედრებზეც გეგმავენ კლუბების გამართვასა და სასწავლო/სოციალური პროექტების განხორციელებას გრძელვადიან მიზნების (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) მისაღწევად. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიისა და საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს ანალიზის, კათედრების წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს აქვთ კომპლექსური დავალებების დაგეგმვა /განხორციელების გამოცდილება, სამომავლო ხედვა და მზაობა საგნობრივი კურიკულუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე, (სამიზნე ცნებები და შედეგები). სკოლოს ლაბორატორია (საბუნებისმეტყველო საგნები) აღჭურვილია ყველა იმ რესურსით, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) და გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას. წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეების/ძირითადი

საკითხების შესასრულებლად მოსწავლეებს სჭირდებათ მასალის სიღრმისეული გააზრება, მაღალი სააზროვნო უნარების აქტივირება. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ რუსული ენის ჩარჩოში მოცემული ისეთი კომპლექსური დავალებები, როგორიცაა: ტურისტული დღიური თემაზე „ჩემი მოგზაურობის შესახებ“, პრეზენტაცია თემაზე „ჩემი გატაცებები“ ვირტუალური მეგობრისათვის, ინფოგრაფიკის პრეზენტაცია საქართველოსა და უცხო ქვეყნის სასკოლო განათლების შესახებ და ა.შ. რჩევა: სასურველია, ყველა სამიზნე ცნებაზე დაიგეგმოს კომპლექსური ტიპის დავალებები.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3.სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი რომელშიც აღწერილია, საჯარო სკოლაში სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულირების პროცესი. გაწერილია სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესრულების რეგულაციები. მასწავლებლები ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს სსსმ მოსწავლეთა აკადემიური, კოგნიტური და შემეცნებითი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით. აქტიურად იყენებენ ადაპტირებულ სასწავლო რესურსებს. დაგეგმილია აქტივობები, განსაზღვრულია მასალის მიწოდების, წარმოდგენის სხვადასხვა ფორმა, ყველა ტიპის მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. გაკვეთილზე გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსი; სკოლის მიერ წარმოდგენილია სსსმ მოსწავლისთვის ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგად საბაზო საფეხურზე სკოლას აქვს არსებულ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში გაითვალისწინოს დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები.

ინდიკატორი 2.1.2. 3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით იგი ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს ზოგადი რუბრიკებიც და ქოუჩინგის დროს შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოკურ ორიენტირებს. სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავენ აღნიშნულ საკითხზე ინტენსიურ მუშაობას. სკოლაში არის მზაობა, რათა შეიქმნას განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ეფექტური რუბრიკები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარებასა და აკადემიური მიღწევების ზრდას.

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5.კურიკულუმების დაგეგმვისას პედაგოგები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით აგებენ საგაკვეთილო პროცესს. ეს კარგად ჩანს წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან. შემუშავებულია სასკოლო

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია კურიკულუმის განხორციელების პროცესი და ეტაპები, სასწავლო პროცესი იგეგმება რევიზიისა და ანალიზის საფუძველზე. ხორციელდება შემაჯამებელი დავალებების, კურიკულუმების ანალიზი.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ელექტრონული პლატფორმაზე წარმოდგენილი ანგარიშები და რეფლექსიები
- კათედრების წლიური ანგარიშები
- მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი კლუბები, განხორციელებული სასკოლო პროექტები და სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობები, აგრეთვე შერჩეული კომპლექსური დავალებები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესში განხორციელდეს ისეთი აქტივობები, რომლებშიც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, იგი აიძენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; განსაკუთრებით მრავალფეროვანია პროექტული სწავლება სამოქალაქო განათლებაში. შემოთავაზებული პროექტები: „არასრულწლოვანთა დანაშაული“, „მე და კონსტიტუცია“, რომლებიც ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: ბულინგი, კიბერბულინგი, ადრეული ქორწინება და სხვ. სკოლაში არაფორმალურ განათლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მოსწავლის მოტივაციისა და სწავლის პროცესის ეფექტიანობისათვის თანამშრომლობით სწავლის ფორმად ჯგუფური და წყვილებში მუშაობა აქვთ შერჩეული. მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს მუდმივად ინტერქციაში იყოს თანატოლთან, გასცეს და მიიღოს დაუყოვნებლივი უკუკავშირი, გაიზიაროს პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგზე. სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი, რაც ხელს უწყობს მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას. მნიშვნელოვანი და საინტერესო საბუნებისმეტყველო კათედრის გამოცდილება, კერძოდ, ერთობლივად შემუშავებული სამუშაო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, რომლებიც ექსკურსიების, პროექტებისა და სხვა ღონისძიებებით იძლევა ღიაობის, მაღალი მიმდებლობის, პრობლემაზე ორიენტირებულობისა და მოსწავლის ინიციატივების წახალისების შესაძლებლობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა განიცდის ტექნოლოგიური რესურსის სიმწირეს, გამართულად არ მუშაობს ინტერნეტის ქსელი, რაც დაბრკოლებას უქმნის კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის ეფექტურ მუშაობას. მიუხედავად ამისა, მასწავლებლების აქტიურობით კათედრაზე შეძლებისგვარად ხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები. სკოლაში განხორციელდა პროექტი „ალგორითმი-ალგორითმული კოდი“. ვიზუალური პროგრამირების გარემოში შეიქმნა თამაში „ლაბირინთი“. პროექტის ფარგლებში მიღებული გამოცდილება გაზიარებულ იქნა მუნიციპალურ სასწავლო კონფერენციაზე. კარგი იქნება, თუ მუნიციპალური მმართველობა და სკოლა ერთობლივად იზრუნებს სკოლის კომპიუტერებით აღჭურვასა და ინტერნეტქსელის გამართვაზე, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მოსწავლეთა კიდევ უფრო აქტიურ ჩართულობას. უცხო ენების კათედრაზე იმ თემებში, სადაც წარმოდგენილია კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომი პროექტულ დავალებების იდეები, როგორებიცაა, მაგალითად, ინგლისურ ენაში დაგეგმილი დავალებები: ბლოგპოსტი „All about me“, პრეზენტაცია თემაზე „სიყვარულის დღე საქართველოსა და სხვა ქვეყნებში“ და ა.შ. მოსწავლე ნამდვილად შეძლებს იყოს აქტიურად ჩართული შემოქმედებით პროცესში. როგორც ინტერვიუში იქნა აღნიშნული, სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების დახვეწასა და განვითარებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და პედაგოგებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად სასკოლო საზოგადოებამ წარმოადგინა საინტერესო გამოცდილება, მზაობა და ხედვა იმისა, რომ სასწავლო პროცესი იძლეოდეს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.1 მეტწილად დაკმაყოფილებულია

2.საბაზო საფეხურზე, სკოლის კათედრებს წარმოდგენილი აქვთ კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემა, სამიზნე ცნება, მიმართულებები, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების პირობები, საკითხები თუ რესურსები. კურიკულუმების შინაარსი და პირობები იძლევა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობას. სკოლის პრაქტიკაში არსებობს კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის გამოცდილება. წარმოდგენილია ისეთი შემთხვევები, როცა დავალება შეიცავს ახალი პროდუქტის შექმნის გამოწვევას, არსებობს კონტექსტზე დაფუძნების შემთხვევებიც. ერთად განხორციელებული აქტივობები ეხმარება მოსწავლეებს შეძლონ გამოწვევების მიღება, აღძრავს შინაგან მოტივაციას ეხმარება მათ ჩამოუყალიბდეთ პოზიტიური დამოკიდებულება და მაღალი თვითფექტიანობა. მასწავლებლებმა ისაუბრეს VIII კლასში მათემატიკაში ჩატარებული კომპლექსური დავალების „განძის რუკა“, სამიზნე ცნება „ალგებრული გამოსახულება“ შესახებ. ხაზი გაუსვეს პროდუქტის შექმნით, წინარე ცოდნის გააქტიურებით, არჩევანის თავისუფლებით როგორ მოახერხეს მოსწავლეების აქტიურად ჩართვა შემოქმედებით პროცესში. საბუნებისმეტყველო კათედრაზე პედაგოგებთან გასაუბრისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3.საბაზო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელება ახალდანერგილია, თუმცა ერთწლიანი გამოცდილება იძლევა იმის საფუძველს, რომ მოსწავლე დაეუფლოს სწავლის სტრატეგიებს და შემოქმედებითი პროდუქტი შექმნან გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში. კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით გაწერილია კურიკულუმის დანართი, რომელშიც კომპლექსური დავალებების მიხედვით წარმოდგენილია ცოდნის აგების პრინციპი და სწავლა ხორციელდება კომპლექსური დავალებიდან კომპლექსურ დავალებამდე. პედაგოგები მიზანმიმართულად იყენებენ სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგიას. მოსწავლეებს ასწავლიან ძირითად მასალაზე ხაზგასმას, მთლიანი მასალის დანაწევრებას და დანაწევრებული მასალის ათვისებას. ემოციური კომპონენტის გასავითარებლად ეხმარებიან მოსწავლეებს ისწავლონ შეცდომის დანახვა და გამოსწორება. სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტების დასმა მასწავლებელთა პრაქტიკის ბუნებრივი ნაწილია, რაც სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა. პედაგოგებს აქვს გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4.საბაზო საფეხურის საგნობრივი საკითხების სიღრმისეული გააზრებისა და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებისთვის კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილია კომპლექსური დავალებები. კომპლექსური დავალების შესრულებისას აქცენტი კეთდება ცოდნის სამ კატეგორიაზე. სკოლაში შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ მოხდეს ცოდნის ტრანსფერი და განხორციელდეს სასწავლო პროექტები, კვლევითი და ექსპერიმენტული სამუშაოები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და საბუნებისმეტყველო

კათედრის წევრებთან ფოკუსჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა, სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).

ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისათვის სკოლა იყენებს კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც ადაპტირებულია ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების შესაბამისად. ახალი სასწავლო წლისთვის დაიგეგმება და განხორციელდება ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. ასეთი აქტივობები მოსწავლეებს ფუნქციურ უნარებს გამოუმუშავებს და ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი იწყება წინარე ცოდნის გააქტიურებით, მასწავლებლის მიერ შეთავაზებული შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, რაც უმარტივეს მოსწავლეს სწავლის პროცესს. მოსწავლე მოტივირებულია და ორიენტირებულია შემოქმედებითი და კრიტიკული უნარების განვითარებაზე. ამავდროულად, შესაძლებელია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებაც არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებული აქტივობების ფარგლებში. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრის წლიური ანგარიშები
- შეფასების რუბრიკები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;



4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში შუალედური (საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, იდეა, კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, საფეხურის შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი აქტივობების რესურსებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უზრუნველყოფილია სამიზნე ცნებებისა და მისი წარმოდგენების გათავისება. მასწავლებლებს სწორად აქვთ მითითებული საკითხები, ცნებები, ქვესაკითხები. გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სკოლას აქვს პოტენციალი, შექმნას გამართული სასწავლო კურიკულუმი. საგნობრივი კურიკულუმში ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზის მიხედვით იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავებულია საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო/სარეკომენდაციო თემები, მიმართულებები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები. აღნიშნული აღწერა საერთოა ყველა საგნობრივი ჯგუფისათვის, ღსანიშნავია, რომ საბუნებისმეტყველო საგნებში სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რადგან საგნობრივ კურიკულუმებში, სამივე საგანში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანზე ორიენტირება. თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლა ზრუნავს შექმნას ისეთი ხელშემწყობი სასწავლო გარემო, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესებთან ერთად ორიენტირებული იქნება მოსწავლის სოციალური და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებაზე, რისთვისაც სკოლა მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის ხელშემწყობ გარემოს ქმნის ისეთი აქტივობებით, როგორებიცაა: თვითცნობიერება, თანამშრომლობითი უნარები, ემოციების მართვა, კონფლიქტების მართვა, პასუხისმგებლობის აღება საკუთარ ქმედებებზე, კრიტიკული, შემოქმედებითი და კვლევა მიების, ტოლერანტული კულტურის განვითარება. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია პრიორიტეტული თემა: „ჯანსაღი ცხოვრების წესი“ და აღნიშნულის ფარგლებში გეგმავს განხორციელოს აქტივობები, რომელიც დააკმაყოფილებს მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს და მათ ინტერესებს, განავითარებს მოსწავლეთა ფიზიკურ, შემეცნებით და სოცო-ემოციურ სფეროს. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების დროს მოსწავლეები დიდი ინტერესით ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში, მათთვის ყველაზე სახალისო პროდუქტის შექმნაა, მსჯელობენ

საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აცნობიერებენ სხვების პოზიციას და, შესწავლილი საკითხიდან გამომდინარე, გამოხატავენ ემპათიას სხვების მიმართ, თანაკლასელებთან ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს, უმკლავდებიან სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, პერსონალურ თუ სოციალურ ქცევებს შორის აკეთებენ ეთიკურ და კონსტრუქციულ არჩევანს. ამგვარი ქმედებები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და ფოკუსჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტენტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3.სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ახალი ნიმუშები. რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები მიემართება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ცნებების მიხედვით და ითვალისწინებს მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებას. სკოლას კომპლექსური დავალების შეფასებისთვის, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით წარმოდგენილი აქვს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდოლოგიური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა იაზრებს მოსწავლეთა შეფასების მნიშვნელობას მათი მხარდაჭერისა და განვითარებისათვის.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლას შემუშავებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე კომპლექსური დავალების სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიით შეფასების რუბრიკა. ამ რუბრიკებით მოსწავლეთა შეფასება მიემართება ცნების მკვიდრ წარმოდგენებსა და საგნობრივი სტანდარტის შედეგებს. ვიზიტის შემდგომ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში სწორად არის წარმოდგენილი შეფასების აღმწერები კრიტერიუმები, რომლებიც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას. შეფასების კრიტერიუმების, მოსწავლეებისა და მშობლებისათვის წინასწარ გაცნობა ხელს უწყობს შეფასების გამჭვირვალობას, პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის სამართლიანობას, ობიექტურობას და სანდოობას.

სკოლის შეფასების სისტემისა და შეფასების რუბრიკების გაცნობით, მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5.სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით აქვს წარმოდგენილი სკოლის დირექტორის 2023 წლის 31 აგვისტოს №01-02/59 ბრძანებით დამტკიცებული „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი“, რომელიც გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებებისა და ზოგადად, შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის

უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის თანახმად, ვერიფიკაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. გაწერილია ვერიფიკაციის პროცედურა. დოკუმენტს თან ახლავს ვერიფიკაციის ინსტრუმენტი.

ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია

6.სკოლაში არსებული მოსწავლის პირადი საქმეები, რომლებშიც შეტანილია წლიური შეფასებები, შესაბამისი ცნობები და პირადი ინფორმაცია საქმისწარმოების წესის შესაბამისად ინახება საქმის მწარმოებელთან. დირექტორის სამართლებრივ - ადმინისტრაციული ბრძანებით განსაზღვრულია ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემის/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კათედრების პორტფოლიოებში. სკოლის საქმისწარმოების წესი, მუხლი 12-ის თანახმად სკოლაში ნაწარმოები ყველა დოკუმენტი 5 წლის განმავლობაში ინახება სკოლის კანცელარიაში.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები
- საბაზო საფეხურის კათედრების ოქმები
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგი
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი
- სკოლის საქმისწარმოების წესი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმდებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც მოსწავლეზეა ორიენტირებული. კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებების იდეების განხორციელება მოსწავლეებს აძლევს პიროვნული ზრდის საშუალებას. სკოლის მიერ შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. მასწავლებლებისთვის თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა წამყვანი პრიორიტეტებია მათი საქმიანობის პროცესში. მოსწავლეთა საჭიროებების გამოკვეთა ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

საბაზო საფეხურის კურიკულუმების, შეფასების რუბრიკების, მასწავლებელთა რეფლექსიებისა და გაკვეთილზე დაკვირვების ფორმების გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე. აღნიშნული კი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმდებლობითი გარემოს შექმნას.

ინდიკატორი 2.2.3.1.დაკმაყოფილებულია

2.საბაზო საფეხურზე მოსწავლეზე ორიენტირებულად სასწავლო პროცესის წარსამართავად სკოლა ნერგავს კომპლექსურ დავალებებს, რომლებშიც საგნობრივი საკითხების აქტუალიზებასთან ერთად გათვალისწინებული იქნება ფუნქციურ- კომპონენტური უნარების განვითარება, რაც სამოქალაქო პასუხისმგებლობას გაუღვივებს მოსწავლეებს და აჩვენებს განვითარების გზას, რათა სწავლება დაეფუძნოს მოსწავლის კომპლექსურ განვითარებას. ასევე, მოსწავლეთა ინტერესებზეა მორგებული სადამრიგებლო პროგრამა. დამრიგებლებისთვის შექმნილია ელექტრონული სამუშაო ჟურნალი, სადაც აღიწერება ინფორმაცია არასაკმარისი დროს მოსწავლეთა საქმიანობის შესახებ, კლასისა და სკოლის ტრადიციები, მშობელთან და მოსწავლეებთან ინდივიდუალური შეხვედრების მიზნები და გადაწყვეტილებები, სასკოლო ღონისძიებებში კლასის მოსწავლეების ჩართულობა. სკოლაში ტარდება არაფორმალური აქტივობები, ფუნქციონირებს კლუბები და წრეები. საბაზო საფეხურის კურიკულუმების, სადამრიგებლო პროგრამისა და მოსწავლეთა ნამუშევრების გაცნობით დასტურდება, რომ სკოლაში სასწავლო წარმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

ინდიკატორი 2.2.3.2.დაკმაყოფილებულია

3.საგნობრივი კათედრების შეხვედრებზე მასწავლებლები ერთობლივად შეიმუშავენ კურიკულუმებს, შეფასების რუბრიკებს, აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს. სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ ისინი რეგულარულად თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით. ცდილობენ ერთობლივად მოიძიონ პრობლემური საკითხების გადაჭრის გზები. აქვთ ინტეგრირებული პროექტების განხორციელების გამოცდილება და გეგმავენ მის სამომავლოდ გამოყენებასაც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა თანამშრომლობითი კულტურისა და კომუნიკაციის განვითარებასაც.

საბაზო საფეხურის კათედრების შეხვედრის ოქმების, მასწავლებლებთან გასაუბრებითა და ვიზიტის დროს პერსონალის საქმიანობაზე დაკვირვებით დასტურდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია

4. სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთა კითხვარი, რომლითაც იკვლევს მშობლების ინფორმირებულობისა და კმაყოფილების ხარისხს. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხარდაჭერა. წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. სკოლა ცდილობს პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას როგორც სასკოლო, ისე საკლასო დონეზე. სასწავლო წლის მანძილზე დაგეგმილი სადამრიგებლო პროგრამით განსაზღვრული თემები უზრუნველყოფს მოსწავლეთა შორის მეგობრული და ტოლერანტული გარემოს შექმნას. სადამრიგებლო საათები ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ-პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს.

კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგიის, სადამრიგებლო პროგრამების, სკოლის შინაგანაწესის და სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობა გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური კლიმატის შექმნას სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია

სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რაც ხელს უშლის კურიკულუმის განხორციელებას საბაზო საფეხურზე.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 1 წლის განმავლობაში, 2023 წლის 16 ნოემბრიდან 2024 წლის 16 ნოემბრამდე საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობით, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ჩართულობითა და დაფინანსებით უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობას და მასში, საცავში არსებული ლაბორატორიის ინვენტარის გადატანას.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს, სკოლაში სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- სკოლის შინაგანაწესი,
- სადამრიგებლო პროგრამა

- კათედრების შეხვედრის ოქმი
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოს შეიმუშავა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის თანახმად, კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტიკა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება.

ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად ამ ეტაპზე ვერ განხორციელდებოდა. შესაბამისად, ინდიკატორი ვერ ფასდება.

2.კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში იკვეთება სკოლის მზაობა, რომ მონიტორინგის და შეფასების შედეგები მოემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტიკა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად, სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება და სკოლის ინსტიტუციური განვითარება. წარმოდგენილია მასწავლებლების გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების დამადასტურებელი ფორმები, სადაც აღწერილია გაკვეთილების ძლიერი და სუსტი მხარეები, უკუკავშირი და რეკომენდაციები.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკაყოფილებულია

3.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესი წარიმართება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზით მოახდინოს პრობლემების გამოვლენა და მათ გადაჭრის გზების ძიება. სასურველია, კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, რა ინსტრუმენტებს გამოიყენებენ? ვინ და რა პერიოდულებით განხორციელებს მონიტორინგს/შეფასებას? კრიტერიუმები/ინდიკატორები, რომლითაც მოხდება შეფასება და გაეცემა პასუხი კითხვას-რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს?

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს



1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორც მეთოდოლოგიის დოკუმენტში არის აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება ხდება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისაგან: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტიკა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში, ასევე ინფორმაცია გროვდება პედაგოგებზე დაკვირვების გზით მათი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, მიმდინარეობს სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა თანამშრომლობითი პროცესების გადრმავეების მიზნით. შეფასების პროცესში ჩართულია სკოლის კათედრები, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, კათედრის წევრები მხარს უჭერენ და ახორციელებენ ჰოლისტურ მიდგომებს.

სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, კერძოდ: როგორც კომპლექსურ დავალებებს, ასევე შემაჯამებელ სამუშაოებს. აღნიშნული დავალებების შეფასება ხორციელდება წინასწარ შეთანხმებული ინსტრუმენტებითა და გაწერილი რუბრიკების მიხედვით.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სასკოლო კურიკულუმის შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით. როგორც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში არის აღნიშნული, დოკუმენტის განვითარების პროცესში მრავალი მხარე არის ჩართული: მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, დირექცია.

გასაუბრების დროს გაირკვა, რომ მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას განავითარონ შეფასების რუბრიკები. კათედრის წევრებთან გასაუბრების შემდეგ და წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების და შეფასების რუბრიკების, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლაში შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ინფორმაციის შეგროვების მიზნით გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი: დაკვირვება, დიაგნოსტიკა ხდება მიღებული შედეგების ანალიზი. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, ბეჭდვითი სიტყვა, საჯარო

ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. მასწავლებლები ცდლობენ გაიგონ მოსწავლეების, მშობლების და მასწავლებლების აზრი სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. ამისთვის იყენებენ გამოკითხვას, ინტერვიუს, დაკვირვებას, ფოკუს ჯგუფებს. შეფასების პროცესში ჩართული არიან მოსწავლეებიც.

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში: „ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“- ასახულია რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მოსწავლეთა შეფასების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კურიკულუმის განვითარების მიზნით. კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი განხორციელდება სადიაგნოსტიკო შეფასებითა და მოსწავლის სწავლის პროცესზე დაკვირვებით.

ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმის შემუსავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი დეტალურადაა წარმოდგენილი წარმოდგენილ დოკუმენტში - “კურიკულუმის მეთოდოლოგია“. მასში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება განხორციელდება მთელი წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. პედაგოგებისა და სკოლის წარმომადგენელთა განცხადებით, სკოლა კურიკულუმის განვითარების მიზნით მომავალი სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების წარმოებას. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში სადაც კითხულობთ: მონაცემების შეგროვების საფუძველზე სკოლა ქმნის: რეკომენდაციების პაკეტს

მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.

რეკომენდაციები უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის.

აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზიდან და გასაუბრებიდან გამომდინარე ექსპერტთა შეფასებით სკოლა კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტის მიხედვით განახორციელებს მის განვითარებას.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია

2 კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. კურიკულუმის რევიზია დაეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება. შესაბამისად სკოლა კურიკულუმის გადამუშავების პროცესში დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება



სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა, დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. დოკუმენტში ჩაშლილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილებისა და კომპონენტების შესახებ ინფორმაცია. აღწერილია, თუ რა პრინციპებს ეფუძნება კურიკულუმის განვითარება. მასში წარმოდგენილი და განსაზღვრულია დოკუმენტის დამუშავებისას, რა ფუნქციამოვალეობები ეკისრება დირექციასა და პედაგოგებს. დოკუმენტში აღწერილია, რა ეტაპები მიმდინარეობს ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებამდე. კერძოდ, ანალიზდება წინა სასწავლო წელს განვლილი პროცესი, რომელშიც აქტიურად არის ჩართული მოსწავლე, მშობელი. დგინდება მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები, რომლებიც გათვალისწინებულია კურიკულუმების შედგენის დროს. კურიკულუმის შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს: სასწავლო პროცესი ეფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებსა და პოზიტიურ სასწავლო გარემოს. სასკოლო კურიკულუმი იქმნება წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე, გაითვალისწინებულია გასული სასწავლო წლის მიგნებები, გამოკვეთილი პრობლემები თუ საჭიროებები. კურიკულუმის შემუშავებისას მოსწავლეთა ინტერესები გათვალისწინებულია არცევიითი საგნების შეთავაზებისას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებშიც გაცხადებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. საშუალო საფეხურის კურიკულუმში სწავლა-სწავლების მიზნებისა და სასწავლო პროცესის აღწერაში მკაფიოდ ჩანს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და მათი რეალიზების, ყოველდღიური სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმები. კერძოდ, დამატებითი საგნები შერჩეულია მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით. მოსწავლეთა ინტერესები გათვალისწინებულია არცევიითი საგნის არჩევისას.

წარმოდგენილია არჩევითი საგნების არჩევის ოქმები. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებით აღწერილი განვითარების გზა (გრძელვადიანი მიზნები, კომპლექსური დავალებები, შეფასების რუბრიკები, რესურსები) ხელს უწყობს მოსწავლეებში იმ უნარ-ჩვევების განვითარებას, რომლებიც მათ დაეხმარება საბაზო-საშუალო საფეხურზე გაწერილი პროგრამის დამღევაში. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით საშუალო საფეხურზე შექმნილია კლუბები (განსაკუთრებით სახელმწიფო ენის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა, საბუნებისმეტყველო საგნების კათედრებზე), იგეგმება არაფორმალური აქტივობები. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოებში უმეტესად განსაზღვრულია ერთი ან ორი კომპლექსური დავალება. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება და შუალედური მიზნების გათვალისწინება დაეხმარება მათ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოების და ასევე ინტერვიუსას გაცემული პასუხებით, უცხოური ენის კათედრა გვიჩვენებს წარმოდგენას, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე ისეთი პროექტული შინაარსის დავალებების საშუალებით, როგორებიცაა, მაგალითად: ბროშურა თემაზე „მოგზაურობა საქართველოში“, ინტერვიუს შედეგების წარდგენა თემაზე „საყიდლები“, პრეზენტაცია თემაზე „მავნე ჩვევები“, „ტელევიზია-მომხრე და წინააღმდეგ“, (ინგლისური, რუსული; მეთორმეტე კლასი), მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა კეთებისა და კვლევის პროცესში თავად მოახდინონ სწავლის კონსტრუირება. სასკოლო საზოგადოების ინტერესებზეა მორგებული სადამრიგებლო პროგრამა. დამრიგებლებისთვის შექმნილია სამუშაო ჟურნალები, რომლებშიც აღიწერება ინფორმაცია მოსწავლეთა საქმიანობის შესახებ, მშობელთან და მოსწავლეებთან ინდივიდუალური შეხვედრების მიზნები და გადაწყვეტილებები, კლასის მოსწავლეების ჩართულობა სხვადასხვა მიმართულებით. საშუალო საფეხურის კურიკულუმის, სადამრიგებლო პროგრამის, კლუბების დებულებებისა და გეგმების გაცნობით, ასევე, მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია საშუალო საფეხურის კურიკულუმზე მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები, პასუხისმგებლობები და მონაწილეობის ფორმები. სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრების სხდომების ოქმები, რომლებშიც განხილულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, მასწავლებლების მოსაზრებები და რეკომენდაციები, თუ როგორ გეგმავენ მეთოდოლოგიის შესაბამისად კურიკულუმის შემუშავებას ახალი სასწავლო წლისთვის. მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში ისაუბრეს კურიკულუმების შემუშავების პროცესში თავიანთ როლსა და ჩართულობაზე. სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით, კათედრების ოქმებით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს კურიკულუმის შემუშავებაში და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის

გაზიარებას, განსაზღვრავს სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხების გამოყენებას: სკოლის ვებგვერდი; ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; პორტალი ვებგვერდზე; სოციალური მედია; ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ვიზიტის პერიოდში სასკოლო საზოგადოება გაცნობილი იყო სკოლის მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ სასკოლო კურიკულუმებს, რომელიც არის სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილი. კურიკულუმების ბმული, ასევე მითითებულია სკოლის ვებგვერდზე ln.run/sjxQV.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია..

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრების სხდომის ოქმები;
- მოსწავლეთა სხდომის ოქმი 1 29/05/2023წ.
- ვებგვერდი <https://bit.ly/3QRstZl>.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საშუალო საფეხურზე წარმოდგენილია 2023-2024 სასწავლო წლისთვის კურიკულუმის ჩარჩოები. სავალდებულო თემებში შერჩეული

საკითხების საშუალებით მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, როგორც გრძელვადიანი მიზანი. კათედრის სხდომებზე განიხილეს საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო, რომელის სრულყოფა მოხდება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები (სახელმწიფო ენის კათედრაზე დებატკლუბი „თემიდა“ ემსახურება მოსწავლეებში არგუმენტირებული მსჯელობის უნარების ჩამოყალიბებას; იტელექტკლუბ „ლამპარის“ ფარგლებში აწყობენ ვიქტორინებს; საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე - კლუბი „კონსტიტუცია“, რომლის ფარგლებში ხორციელდება მცირე საგრანტო პროექტები;) და წარმოდგენილია განხორციელებული აქტივობები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნული და სოციო-ემოციური განვითარებას, ზრდის მოტივაციას და ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტში მოსწავლეთა აქტიური და თანასწორი ჩართულობის საშუალებას იძლევა. აგრეთვე სკოლა აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიასთან, სხვადასხვა არასამთავრობო ახალგაზრდულ ორგანიზაციასთან და მათი თანამონაწილეობით გეგმავენ და ახორციელებენ სასკოლო პროექტებს და აქტივობებს. განხორციელებული პროექტები: მე და კონსტიტუცია, პოლიციისა და საზოგადოების თანამშრომლობა, სახელმწიფო ენის კათედრის მიერ განხორციელებული მოსწავლეთა ყოველწლიური კონფერენცია. ეს სკოლის წამატებული პრაქტიკის არასრული ჩამონათვალია, საიდანაც დგინდება პედაგოგთა და მოსწავლეთა მზაობა საინტერესო და მრავალფეროვანი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფისათვის. ახალი სასწავლო წლისთვის საშუალო საფეხურის საგნობრივმა კათედრებმა შექმნეს კურიკულუმის ჩარჩოები მე-10 - მე-12 კლასებისთვის. კურიკულუმში გათვალისწინებულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი-კომპლექსური დავალება. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე, კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს მაღალი სააზროვნო უნარებისა განვითარებას და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. კურიკულუმების სამუშაო ვერსიებია წარმოდგენილი და გეგმავენ სექტემბრამდე მოდიფიცირებას და დახვეწას, რაც ინტერვიუში დაასტურეს.

სასურველია კურიკულუმის ჩარჩოში მათემატიკის საგნობრივი ჯგუფისთვის ცალკეული თემის შესაბამისად უფრო მრავალფეროვანი, კონკრეტულ თემაზე მორგებული სასწავლო რესურსების გაწერა, როგორცაა დამხმარე სახელმძღვანელო, ელ რესურსები და სხვა. ეს საშუალებას მისცემს მასწავლებლებს სასწავლო პროცესი მეტად ორიენტირებული გახადონ თითოეულ მოსწავლეზე. სასურველია, სახელმწიფო ენის მეთორმეტე კლასის კურიკულუმში მიეთითოს, რომელი კომპლექსური დავალების განხორციელებას გეგმავს მასწავლებელი.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ 2023-2023 სასწავლო წლისათვის წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში თითოეული კლასისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განისაზღვრება გრძელვადიანი მიზნები, მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა იმისათვის, რომ დაგეგმონ და განახორციელონ პროცესი საინტერესოდ, რათა მიზანმიმართული იყოს მოსწავლის გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე. წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის მქონისეთი დავალებების იდეების/ძირითადი საკითხების შესასრულებლად, როგორებიცაა, მაგალითად, პრეზენტაცია: მოგზაურობა მე-16-ე საუკუნის ინგლისში“, საყვარელი ფილმის მიმოხილვა, პრეზენტაცია

«Транспорт настоящего и будущего» (ინგლისური/რუსული, მეათე კლასი) , მოსწავლეებს სჭირდებათ მასალის სიღრმისეული გააზრება, მაღალი სააზროვნო უნარების აქტივირება. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ კურიკულუმის მთავარი ორიენტირი სკოლისთვის არის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნები (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) აგრეთვე გამოკვეთილია, რომ კურიკულუმის განვითარების პროცესის მთავარი პრინციპია სასკოლო კურიკულუმის შემუშავება მოხდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; კათედრის გამოგზავნილ კომპლექსური დავალებებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და გლობალურ- ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება) განვითარებაზე. დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3.სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია პროცესი, თუ როგორ არეგულირებს საჯარო სკოლა სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას. გაწერილია სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესრულების რეგულაციები. მასწავლებლები ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს სსსმ მოსწავლეთა აკადემიური, კოგნიტური და შემეცნებითი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, უზრუნველყოფენ, აქტიურად ქმნიან სასწავლო ადაპტირებულ რესურსებს. დაგეგმილია აქტივობები, განსაზღვრულია მასალის მიწოდების, წარმოდგენის სხვადასხვა ფორმა, ყველა ტიპის მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით. გაკვეთილზე ხდება მრავალფეროვანი რესურსის გამოყენება; სკოლის მიერ წარმოდგენილია სსსმ მოსწავლისთვის ადაპტირებული კომპლექსური დავალებები წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგად საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო კათედრას აქვს არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ხედვა და მზაობა სასწავლო პროცესში გაითვალისწინოს დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები.

ინდიკატორი 2.1.2. 3 დაკმაყოფილებულია

4.მასწავლებელთა მიერ მოწოდებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები არის იმ ფორმით შედგენილი, რომ სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს იმ ტიპის შეფასება სადაც მოხდება გრძელვადიანი მიზნების იდენტიფიცირება მკვეთრად და მასზე დაფუძნებით, თემის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობის დაკონკრეტება ქუდის ქვეშ - „მოსწავლემ უნდა შეძლოს“. გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, როგორც არის მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა ასევე აქტიურდება ზეპირი განმავითარებელი კომენტარის მიცემის დროს, რა დროსაც მასწავლებელი ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა მამოტივირებელი გარემოს შექმნას სადაც ყურადღება მახვილდება შედეგების გაუმჯობესებისკენ და მხარდამჭერი გარემოს შექმნისკენ.

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლისთვის მნიშვნელოვანია შეფასების მიზნიდან გამომდინარე, მოსწავლეთა შეფასება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. პროექტით დგინდება, რომ შეფასება მისაღწევ შედეგებზეა გათვლილი. გრძელვადიან მიზნებზე და მეთოდოლოგიურ ორიენტირებზეა მიმართული შეფასების კრიტერიუმები და გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს მოსწავლის მიღწევა გრძელვადიან მიზნებთან და საგნის მისაღწევ შედეგებთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- ინდ ჯგუფის სხდომის ოქმებში;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს სასწავლო-საგანმანათლებლო კლუბები. შერჩეული კომპლექსური დავალებები იძლევა შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესში განხორციელდეს ისეთი აქტივობები, რომლებშიც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოების საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; უცხოურ ენებში იმ თემებში, რომლებშიც წარმოდგენილია კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომი პროექტული დავალებების იდეები, მაგალითად, პრეზენტაცია თემაზე “მეგობრობა უპირველეს ყოვლისა“, „ ბრიტანულ -ქართული კერძები“ და ა.შ, მოსწავლე ნამდვილად შეძლებს იყოს აქტიურად ჩართული შემოქმედებით პროცესში. როგორც ინტერვიუში იქნა აღნიშნული, სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების დახვეწასა და განვითარებაზე. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე იქმნება პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი, რაც ხელისშემწეობია მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის. მოსწავლეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წერილობით ან/და ზეპირად გამოხატოს საკუთარი აზრი და გამოიჩინოს ინიციატივა, რომლის მხარდაჭერის მიზნით სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური სამუშაო სივრცის მოწყობასა და საინფორმაციო კამპანიას და ხელს შეუწყობს ინიციატივების განხორციელებას. მნიშვნელოვანი და საინტერესოა საბუნებისმეტყველო კათედრის გამოცდილება, კერძოდ, ერთობლივად შემუშავებული სამუშაო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, რომლებიც ექსკურსიების, პროექტებისა და სხვა ღონისძიებებით ასევე იძლევა ღიაობის, მაღალი მიმდებლობის, პრობლემაზე ორიენტირებულობისა და მოსწავლის ინიციატივების წახალისების შესაძლებლობას. კომპლექსური დავალებები ეხმარება მოსწავლეებს შეძლონ გამოწვევების მიღება, აღძრავს შინაგან მოტივაციას ეხმარება მათ ჩამოუყალიბდეთ პოზიტიური დამოკიდებულება და მაღალი თვითეფექტიანობა.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმში ითვალისწინებს თემატურ დაგეგმვას, მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტსა და შედარების მაგალითებს, რომლებიც დაეხმარება მას ახალი მასალის ძველთან დაკავშირებაში. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები ისეა ფორმულირებული, რომ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს ნაცნობი პრობლემების გადაჭრა და საინტერესო პროდუქტის შექმნა, რაც მას ცოდნის კონსტრუირებაში ეხმარება. ამასთან, გასაუბრებიდან გამომდინარე, მასწავლებლები იაზრებენ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის კონსტრუირების მნიშვნელობას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. საშუალო საფეხურის კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, ასევე კონტექსტ და შედარების მაგალითები და რესურსები, რომლებზე მუშაობაც მოითხოვს სწავლის სტრატეგიების ცოდნას და დაუფლებას, მაგალითად, კოგნიტური სქემების გამოყენება, დაგეგმვა, რეფლექსია და სხვა. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ხშირად სთხოვენ ახალი მასალის შეჯამებას, ასევე სასწავლო პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლები იაზრებენ სწავლის სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობას სასწავლო პროცესში.

საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის, კომპლექსური დავალებების პირობების, შეფასების რუბრიკების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის წარმომადგენლობა ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნის საფუძველზე საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. საგნობრივი კურიკულუმები და წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალური აქტივობები ცოდნის სამ კატეგორიაზეა ორიენტირებული. სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს, გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით მისი ინტერმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. სკოლას აქვს წარმოდგენილი პრობლემაზე დაფუძნებული ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებული დავალებები. მაგალითისთვის, უცხოურ ენებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები ისეა გაწერილი, რომ მოხდეს მოსწავლეების ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება.

ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. საშუალო საფეხურის კურიკულუმებიდან ჩანს რომ, თემის ფარგლებში გაწერილია კონტექსტ მაგალითები, შედარების მაგალითები და კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები, რომლებზე ფიქრი და მუშაობა, კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესი, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მოსწავლის მხრიდან მოითხოვს ახსნას, მსჯელობასა და დასაბუთებას. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს იმას, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ცოდნათა ორგანიზება. პედაგოგებთან ინტერვიუმ და საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრების წლიურმა ანგარიშმა აჩვენა, რომ პედაგოგებს აქვთ გამოცდილება საგანთა შორის გაკვეთილების ინტეგრირებისა (მათემატიკა და ი.ს.ტ-ის საგნებს შორის, მათემატიკა და ქართულის საგნებს შორის).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმი ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2030.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

4. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
5. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
6. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
7. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
8. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
9. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის ჩარჩოში შუალედური (საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, იდეა, კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, საფეხურის შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი აქტივობების რესურსებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიმდინარე სასწავლო წელს სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. მასწავლებლებს სწორად აქვთ მითითებული საკითხები, ცნებები, ქვესაკითხები. გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სკოლას აქვს პოტენციური გამართულად შექმნას სასწავლო გეგმის ჩარჩო. საგნობრივი კურიკულუმი ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, ერთი მხრივ, იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო/სარეკომენდაციო თემები, მიმართულებები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, მეორე მხრივ, ამოიცნობა რეალიზებულ კომპლექსურ დავალებებსა და მათ რეფლექსიებში სკოლის პოტენციური, რაც პერსპექტივაში იმედს იძლევა. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები და კომპლექსური

დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას. აღნიშნული აღწერა საერთოა ყველა საგნობრივი ჯგუფისათვის, ამდენად, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. მოსწავლის კოგნიტურ განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-კულტურული, სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სკოლა მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის ხელშემწყობ გარემოს ქმნის ისეთი პროექტებითა და არაფორმალური აქტივობებით, რომლებიც 21-ე საუკუნის კომპეტენციებსა და გლობალურ უნარებს ავითარებს. მდგრადი შედეგების მისაღწევად სწავლა-სწავლების პროცესს ესაჭიროება მუდმივი მონიტორინგი, თვითრეფლექსია და პროფესიულ განვითარებაზე აქტიური მუშაობა. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე მორგებული აქტივობები, რომ სასწავლო პროცესი თანამშრომლობასა და მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული. აუცილებელია სასწავლო პროცესში აქცენტები გაკეთდეს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე, კურიკულუმში აქტივობები ამას ხელს უნდა უწყობდეს და კომპლექსური დავალების/პროექტების განხორციელების პროცესში თანმიმდევრულად უნდა მოხდეს მისი განვითარება თითოეული მოსწავლის მიერ. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ეს საკითხები ესმით, გააზრებული აქვთ. მათ აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესს ისე წარმართავენ, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს დაეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილ კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც ძირითადად სხვადასხვა ტიპის პროდუქტით განისაზღვრება, აქტივობების განხორციელების პროცესში მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები მიემართება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ცნებების მიხედვით და ითვალისწინებს მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებას. სკოლას კომპლექსური დავალების შეფასებისთვის, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით წარმოდგენილი აქვს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდოლოგიური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა იაზრებს მოსწავლეთა შეფასების მნიშვნელობას მათი მხარდაჭერისა და განვითარებისათვის.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლას შემუშავებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ასევე, კომპლექსური დავალების სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიით შეფასების რუბრიკა. ამ რუბრიკებით მოსწავლეთა შეფასება მიემართება ცნების მკვიდრ წარმოდგენებსა

და საგნობრივი სტანდარტის შედეგებს. ასევე, სწორად არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. რაც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას. შეფასების კრიტერიუმების, მოსწავლეებისა და მშობლებისათვის წინასწარ გაცნობა ხელს უწყობს შეფასების გამჭვირვალობას, პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის სამართლიანობას, ობიექტურობას და სანდოობას.

სკოლის შეფასების სისტემისა და შეფასების რუბრიკების გაცნობით, მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5.სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით აქვს წარმოდგენილი სკოლის დირექტორის 2023 წლის 31 აგვისტოს №01-02/59 ბრძანებით დამტკიცებული „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი“, რომელიც გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებებისა და ზოგადად, შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის თანახმად, ვერიფიკაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. გაწერილია ვერიფიკაციის პროცედურა. დოკუმენტს თან ახლავს ვერიფიკაციის ინსტრუმენტი.

ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია

6.სკოლაში არსებული მოსწავლის პირადი საქმეები, რომლებშიც შეტანილია წლიური შეფასებები, შესაბამისი ცნობები და პირადი ინფორმაცია საქმისწარმოების წესის შესაბამისად ინახება საქმის მწარმოებელთან. დირექტორის სამართლებრივ - ადმინისტრაციული ბრძანებით განსაზღვრულია ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემის/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კათედრების პორტფოლიოებში. სკოლის საქმისწარმოების წესი, მუხლი 12-ის თანახმად სკოლაში ნაწარმოები ყველა დოკუმენტი 5 წლის განმავლობაში ინახება სკოლის კანცელარიაში.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრების ოქმები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგი;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;
- სკოლის საქმისწარმოების წესი.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმდებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც მოსწავლეზეა ორიენტირებული. საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებების იდეების განხორციელება მოსწავლეებს აძლევს პიროვნული ზრდის საშუალებას. სკოლის მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. მასწავლებლებისთვის თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა წამყვანი პრიორიტეტებია მათი საქმიანობის პროცესში. მოსწავლეთა საჭიროებების გამოკვეთა ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

საშუალო საფეხურის კურიკულუმების, შეფასების რუბრიკების, მასწავლებელთა რეფლექსიებისა და გაკვეთილზე დაკვირვების ფორმების გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე. აღნიშნული კი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმდებლობითი გარემოს შექმნას.

ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. სკოლაში მოსწავლე თავად არის საკუთარი სწავლის პროცესის წარმართველი, რადგან, ხშირ შემთხვევაში, მიმდინარეობს კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლება და ხდება მოსწავლეთა ფუნქციურ-კომპონენტური უნარების პროგრესის შეფასება: (სკოლას საგნებში აქვს კონტექსტ მაგალითზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სასწავლო პროცესში ხდება მოსწავლის ცოდნის დონის აღწერა განმავითარებელი კომენტარით, ზეპირსიტყვიერად) მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა სწავლება მიმდინარეობს დიფერენცირებული მიდგომებით სკოლაში. მოსწავლეთა მოტივაციის, ჩართულობისა და ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებისთვის მოსწავლეები ჩართულები არიან სხვადასხვა სასწავლო პროექტებში ინტერესების, საჭიროებების და შესაძლებლობების შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე

დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ 2023-2024 სასწავლო წელს ყველა საგანში იგეგმება კომპლექსური დავალების განხორციელება. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ვიგებთ, რომ სკოლაში ხორციელდება ისეთი სასწავლო პროექტები, რომელებიც ზრდის მოსწავლეების მოტივაციას და უვითარებს მათ უმნიშვნელოვანეს, 21-ე საუკუნის უნარებს.

ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია

3. საგნობრივი კათედრების შეხვედრებზე მასწავლებლები ერთობლივად შეიმუშავენ კურიკულუმებს, შეფასების რუბრიკებს, აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს. მასწავლებლები გაკვეთილებზე ესწრებიან ერთმანეთს და იღებენ კონსტრუქციულ უკუკავშირს. სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ ისინი რეგულარულად თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით. ცდილობენ საერთო პრობლემური საკითხების შესახებ ერთობლივად მოიძიონ გადაჭრის გზები. აქვთ ინტეგრირებული პროექტების განხორციელების გამოცდილება და გეგმავენ მის სამომავლოდ გამოყენებასაც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა თანამშრომლობითი კულტურისა და კომუნიკაციის განვითარებასაც.

საგნობრივი კათედრების შეხვედრის ოქმების, გაკვეთილზე დაკვირვების ფორმების გაცნობით, მასწავლებლებთან გასაუბრებითა და ვიზიტის დროს პერსონალის საქმიანობაზე დაკვირვებით დასტურდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია

4. მეთოდოლოგიის შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთა კითხვარი, რომლითაც იკვლევს მშობლების ინფორმირებულობისა და კმაყოფილების ხარისხს. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხარდაჭერა. წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. სკოლა ცდილობს პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას როგორც სასკოლო, ისე საკლასო დონეზე. ამას ხელს იწყობს როგორც სკოლის შინაგანაწესი, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაც. სასწავლო წლის მანძილზე დაგეგმილი სადამრიგებლო პროგრამით განსაზღვრული თემები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა შორის მეგობრული და ტოლერანტული გარემოს შექმნას. სადამრიგებლო საათები ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ-პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს.

კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგიის, სადამრიგებლო პროგრამების, სკოლის შინაგანაწესის და სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობა გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური კლიმატის შექმნას სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია

სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რაც ხელს უშლის კურიკულუმის განხორციელებას საშუალო საფეხურზე.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 1 წლის განმავლობაში, 2023 წლის 16 ნოემბრიდან 2024 წლის 16 ნოემბრამდე საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობით, საგანმანათლებლო და სამეცნიერო

ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ჩართულობითა და დაფინანსებით უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობას და მასში, საცავში არსებული ლაბორატორიის ინვენტარის გადატანას.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს, სკოლაში სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- კათედრის შეხვედრის ოქმები;
- დამრიგებლის სამუშაო ჟურნალი;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოს შეიმუშავა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის თანახმად, კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტიკა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება.

ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად ამ ეტაპზე ვერ განხორციელდებოდა. შესაბამისად, ინდიკატორი ვერ ფასდება.

2. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში იკვეთება სკოლის მზაობა, რომ მონიტორინგის და შეფასების შედეგები მოემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტიკა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად, სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება და სკოლის ინსტიტუციური განვითარება. წარმოდგენილია მასწავლებლების გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების დამადასტურებელი ფორმები, სადაც აღწერილია გაკვეთილების ძლიერი და სუსტი მხარეები, უკუკავშირი და რეკომენდაციები.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკაყოფილებულია

3. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესი წარიმართება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვისა და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზით მოახდინოს პრობლემების გამოვლენა და მათ გადაჭრის გზების ძიება. სასურველია, კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, რა ინსტრუმენტებს გამოიყენებენ? ვინ და რა პერიოდულებით

განახორციელებს მონიტორინგს/შეფასებას? კრიტერიუმები/ინდიკატორები, რომლითაც მოხდება შეფასება და გაეცემა პასუხი კითხვას-რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს?

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორც მეთოდოლოგიის დოკუმენტში არის აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება ხდება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისაგან: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტიკა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში, ასევე ინფორმაცია გროვდება პედაგოგებზე დაკვირვების გზით მათი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, მიმდინარეობს სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა თანამშრომლობითი პროცესების გაღრმავების მიზნით. შეფასების პროცესში ჩართულია სკოლის კათედრები, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, კათედრის წევრები მხარს უჭერენ და ახორციელებენ ჰოლისტურ მიდგომებს.

სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, კერძოდ: როგორც კომპლექსურ დავალებებს, ასევე შემაჯამებელ სამუშაოებს. აღნიშნული დავალებების შეფასება ხორციელდება წინასწარ შეთანხმებული ინსტრუმენტებითა და გაწერილი რუბრიკების მიხედვით.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სასკოლო კურიკულუმის შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით. როგორც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში არის აღნიშნული, დოკუმენტის განვითარების პროცესში მრავალი მხარე არის ჩართული: მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, დირექცია.

გასაუბრების დროს გაირკვა, რომ მასწავლებლები გამოთქამენ მზაობას განავითარონ შეფასების რუბრიკები. კათედრის წევრებთან გასაუბრების შემდეგ და წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების და შეფასების რუბრიკების, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლაში შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ინფორმაციის შეგროვების მიზნით გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი: დაკვირვება, დიაგნოსტიკა ხდება მიღებული შედეგების ანალიზი. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, ბეჭდვითი სიტყვა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. მასწავლებლები ცდლობენ გაიგონ მოსწავლეების, მშობლების და მასწავლებლების აზრი სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. ამისთვის იყენებენ გამოკითხვას, ინტერვიუს, დაკვირვებას, ფოკუს ჯგუფებს. შეფასების პროცესში ჩართული არიან მოსწავლეებიც.

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში: „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“- ასახულია რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მოსწავლეთა შეფასების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კურიკულუმის განვითარების მიზნით. კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი განხორციელდება სადიაგნოსტიკო შეფასებითა და მოსწავლის სწავლის პროცესზე დაკვირვებით.

ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმის შემუსავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი დეტალურადაა წარმოდგენილი წარმოდგენილ დოკუმენტში - “კურიკულუმის მეთოდოლოგია“. მასში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება განხორციელდება მთელი წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. პედაგოგებისა და სკოლის წარმომადგენელთა განცხადებით, სკოლა კურიკულუმის განვითარების მიზნით მომავალი სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების წარმოებას. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში სადაც კითხულობთ: მონაცემების შეგროვების საფუძველზე სკოლა ქმნის: რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.

რეკომენდაციები უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის.

აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზიდან და გასაუბრებიდან გამომდინარე ექსპერტთა შეფასებით სკოლა კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტის მიხედვით განახორციელებს მის განვითარებას.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია

2 კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. კურიკულუმის რევიზია დაეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება. შესაბამისად სკოლა კურიკულუმის გადამუშავების პროცესში დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია


დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;





შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



22.11.2023წ.

თარიღი